# საერთო გაზეთი

№21 (613)
ოთხშაბათი
9 ივნისი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.




**ბიძინა ივანიშვილი:** თებერვალში გიორგი გახარიას ქმედება იყო საკუთარი გუნდის ღალატი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს იყო საკუთარი სახელმწიფოს პირდაპირი ღალატი

## გახარიას „პერესტროიკა“

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ. ბარემ ისიც მითხარი, ვინ გაპიარებს და კიდევ უფრო ზუსტად გეტყვი, ვინ ბრძანდებით, თქვენ, ბატონო.



## მამუკა არეშიძე: დასავლეთი ვერ ხვდება, რომ კოალიციური მთავრობის პირობებში ქვეყანას პატრონი აღარ ეყოლება



## „ამათი შეშვება ბავშვთა სახლში კი არა ნებისმიერ ოჯახში არ შეიძლება. წაბილწავენ იქაურობას!“

საქართველოს პროკურატურამ დაუყოვნებლივ უნდა აღძრას საქმე იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებმაც წინასწარგანზრახვით, ცილისწამებითა და ცრუ ბრალდებებით სცადეს ავტორიტეტი შეელახათ ქართული ეკლესიისთვის, ხოლო ბავშვებს თავიანთი პროვოკაციული ქმედებებით, უმძიმესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენეს.







ქალბატონი ლომჯარია ნინოწმინდის კი არა ყველა იმ პანსიონის დახურვას აპირებს, სადაც ბავშვებს მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ რწმენას უნერგავენ

გამოიღვიძე, საქართველო, სატანისტები შვილების წართმევას გიპირებენ!

ირაკლი იმნაიშვილო, შე ინდაურო, ვისი აგენტი ხარ და ვის დაკვეთას ასრულებ, შე თვალთმაქცო და ფარისეველო?!



## კაი ყმა

## ფინური განათლების შვიდი პრინციპი

ჩვენს ეროვნულ ბანკს სახელად კი ჰქვია ეროვნული, მაგრამ, სინამდვილეში ის უცხოური ინსტიტუტების ყურმოჭრილი მონაა

## ნაფტალი არონოვიჩი – გულაგების მეფე



**სოსო მანჯავიძე:** გზა, რომელსაც ლევან ვასაძე გვთავაზობს, არის ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანის ერთადერთი გზა

**„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# ბიძინა ივანიშვილის განცხადება

## „თებერვალში გიორგი გახარიას ქმედება იყო საკუთარი გუნდის ღალატი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს იყო საკუთარი სახელმწიფოს პირდაპირი ღალატი“



„როგორც საზოგადოებას მოეხსენება, პოლიტიკიდან ჩემი გასვლის შემდეგ არ გამიკეთებია არცერთი პირდაპირი თუ ირიბი განცხადება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ. მაშინაც კი, როდესაც მიმდინარე წლის თებერვალში სახელმწიფო და ხელისუფლება სერიოზული პოლიტიკური გამოწვევის წინაშე დადგა, არ გამომიხატავს ჩემი პოზიცია, რათა ვინმესთვის ჩემი პოლიტიკური ინტერესის შესახებ სპეკულირების საბაბიც კი არ მიმეცა.

პოლიტიკიდან გასვლის ფონზე, ბუნებრივია, არ შემიწყვეტია ურთიერთობა საზოგადოების წარმომადგენლებთან. ოჯახის წევრებისგან, მეგობრებისგან, ახლობლებისგან, ნაცნობებისგან ვიღებ ინფორმაციას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. მათგან შევიტყვე მოარული თუ შეგნებულად გავრცელებული ხმების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ, თითქოს, გიორგი გახარიას პარტია ჩემი ე.წ. პოლიტიკური პროექტია. რადგან ვხედავ მცდელობას, პოლიტიკიდან გასვლის მიუხედავად, ცრუ ინფორმაციის გავრცელებით, ჩემი სახელი კვლავაც ქართულ პოლიტიკას დაუკავშირონ, თავს ვალდებულად მივიჩნევ, საზოგადოებას მივცე მცირე განმარტება ამ თემასთან დაკავშირებით.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სატელიტი ფსევდოპარტიების შექმნა საქართველოში წლების მანძილზე ფართოდ დანერგილი მანკიერი პრაქტიკა იყო. თუმცა, ამგვარი რამ ჩემი ხელწერა არასოდეს ყოფილა და 2011 წლიდან პოლიტიკიდან ჩემს საბოლოოდ გასვლამდე ქართული საზოგადოებისთვის არცერთი ფსევდოპარტიის შექმნა არ მიკადრებია. მით უფრო გამორიცხულია, ამგვარი რამ საკუთარ თავს ან საზოგადოებას პოლიტიკიდან გასვლის შემდეგ ვაკადრო.

გარდა იმისა, რომ ფსევდოპარტიის შექმნა თავისთავად არასწორი მოვლენაა, გიორგი გახარიასთან პოლიტიკური თანამშრომლობა ჩემთვის ისედაც ყოვლად მიუღებელი იქნებოდა. მთელი ამ წლების მანძილზე, ქართულ პოლიტიკაში უამრავი პოლიტიკური გადაცდომის მომსწრე გავხდით და მეგონა, რომ ამ თვალსაზრისით, აღარაფერი და ვეღარავინ გამაოცებდა. თუმცა, რაც გიორგი გახარიამ მიმდინარე წლის თებერვალში გააკეთა, ამ ფონზეც კი, გაკვირვებას იწვევს.

**მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა და ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფო თანამდებობის პირმა სრულიად გაუგებარ დროს, ყოვლად გაუგონარი მიზეზით დატოვა თანამდებობა – იგი გადადგა იმ მიზეზით, რომ არ სურდა კანონის უზენაესობის დაცვა და კანონის აღსრულება, რისკენაც მას მთელი პოლიტიკური გუნდი მოუწოდებდა.** ის ითხოვდა კანონის აღსრულების ორი დღით გადავადებას, რის შესახებაც ჩვენ დღემდე ვერავითარი დამაჯერებელი განმარტება ვერ მოვისმინეთ. გახარიას ეს პოზიცია მით უფრო გაუგებარი იყო იმ ფონზე, რომ რამდენიმე დღით ადრე ის საკუთარი გუნდისგან მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნას დაჟინებით მოითხოვდა. უმაღლესი თანამდებობის პირის ამგვარ მოქმედებას, გაუგებრობის ხარისხით, მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაშიც კი ძნელად შეიძლება მოეძებნოს ანალოგი.

თებერვალში გიორგი გახარიას ქმედება იყო საკუთარი გუნდის ღალატი. და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს იყო საკუთარი სახელმწიფოს პირდაპირი ღალატი. სამართლისა და კანონის უზენაესობა არის ნებისმიერი სახელმწიფოს ქვაკუთხედი. უპირველეს ყოვლისა, სწორედ კანონის უზენაესობის მიმართ დამოკიდებულებით უნდა შეფასდეს და გაიზომოს ნებისმიერი პოლიტიკოსისა და სახელმწიფო თანამდებობის პირის საქმიანობა და მოღვაწეობა. **როდესაც უმაღლესი რანგის თანამდებობის პირი კანონის უზენაესობის წინააღმდეგ გამოდის და ამ საბაბით თანამდებობას ტოვებს, ამაზე დიდი პოლიტიკური დანაშაული ძნელი წარმოსადგენია. მინდა მწუხარებით აღვნიშნო, რომ ამ ყველაფერმა ჩემი მძიმე იმედგაცრუება გამოიწვია.**



ამ ყველაფრის ლოგიკური გაგრძელება იყო გიორგი გახარიას მიერ პოლიტიკური პარტიის დაფუძნება. მის პარტიას არა აქვს არავითარი იდეოლოგიური თუ კონცეპტუალური საფუძველი და იგი, აშკარად, მოაზრებულია როგორც სიტუაციური ინსტრუმენტი მმართველი გუნდისთვის საარჩევნო ხმების თუნდაც მცირე რაოდენობის წასართმევად.

ჩემი ერთ-ერთი საყვარელი გამონათქვამია – ზოგი ჭირი მარგებელია. იყო გათვლა, რომ გახარიას გადადგომით დადგებოდა მძიმე პოლიტიკური კრიზისი. თუმცა, როგორც ვხედავთ, მმართველი პარტიის ძლიერმა, პროგრესულმა და გამოცდილმა გუნდმა მარტივად შეძლო სირთულეების დაძლევა და სახელმწიფო ინსტიტუტების გამყარება. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკიდან ჩემი გასვლის შემდეგ ორი წამყვანი სახელმწიფო თანამდებობის პირი შეიცვალა, სახელმწიფო აგრძელებს სტაბილურ ფუნქციონირებას.

მნიშვნელოვანია, რომ მმართველი პარტია არ არის დამოკიდებული ცალკეულ პიროვნებებზე და იგი ძლიერია, როგორც ერთიანი გუნდი, რომელსაც უყვარს ქვეყანა, აქვს ღირებულებები და მყარად იცავს სახელმწიფო ინტერესებს. ამ თვალსაზრისით, „ქართული ოცნების“ სრული ანტიპოდია „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც, თავიდან ბოლომდე, მძიმე კრიმინალური წარსულის მქონე მის ერთპიროვნულ ლიდერზე არის დამოკიდებული. საკმარისია, ეს ლიდერი საჯარო სივრცეს ჩამოშორდეს და მისი პარტია მყისიერად ჩამოიშლება.



ერთ-ერთი მთავარი შედეგი, რასაც „ქართულმა ოცნებამ“ ჩემთან ერთად და პოლიტიკიდან ჩემი გასვლით მიაღწია, სწორედ საქართველოში პიროვნების კულტისა და მესიანიზმის მანკიერი ტრადიციის დასრულებაა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩემს მიერ დაფუძნებული პარტია მომავალშიც წარმატებით უზრუნველყოფს სახელმწიფოს სიმტკიცეს, დემოკრატიული ინსტიტუტების, სამართლისა და კანონის უზენაესობის დაცვას, რაც სახელმწიფოს განვითარების აუცილებელი პირობაა.“

# გახარიას „პერესტროიკა“

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ. ბარემ ისიც მითხარი, ვინ გაპიარებს და კიდევ უფრო ზუსტად გეტყვი, ვინ ბრძანდებით, თქვენ, ბატონო, თუმცა ადამიანის ამოცნობის ამ საინტერესო და ორიგინალურმა მეთოდმა, შეიძლება, გიორგი გახარიას შემთხვევაში ვერ იმუშაოს, უფრო მეტიც – შეიძლება შეცდომაშიც კი შეგვიყვანოს.

მოგეხსენებათ, მას შემდეგ, რაც გახარია პრემიერ-მინისტრობიდან გადადგა და „სამუშაოდ“ ოპოზიციაში გადავიდა, მას აქტიურად აპიარებენ ე.წ. ოპოზიციური ტელეარხები, რომლებიც, სინამდვილეში, სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ კონტროლს დაქვემდებარებული არხებია.

პიარი სხვა სიტყვაა – აპიარებენ კი არა, გამალებულ აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან და საათნახევრიან, ორსაათიან გადაცემებს უძღვნიან ხან პერსონალურად გახარიას, ხან გახარიას გუნდის წევრებს.





ამასწინათ ეკა კვესიტაძეს ჰყავდა მიწვეული „მთავარში“ გიორგი ხოჯევანიშვილი და ნათია მეზვრიშვილი.

ეგეთი ლმობიერი, ეგეთი კეთილი და რესპონდენტების მიმართ დედობრივი მზრუნველობით განწყობილი კვესიტაძე ჯერ არ მინახავს.

ეს არ იყო ინტერვიუ ჟურნალისტსა და პოლიტიკური პარტიის წევრებს შორის, ეს იყო სემინარი, ტრენინგი, რომელსაც ქალბატონი ეკა დამწყებ პოლიტიკოსებს ღია ეთერში უტარებდა.

განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა იგი ახალბედა პოლიტიკოსს, ხოჯევანიშვილს, დელიკატურად უსწორებდა, მისი აზრით, არაკვალიფიციურ მოსაზრებებს და იქვე დასძენდა: არა უშავს, არა უშავს, ჯერ ახალგაზრდაა, გამოუცდელია და ყველაფერს გამოასწორებსო.

იმდენჯერ თქვა კვესიტაძემ, ხოჯევანიშვილის მისამართით, გამოუცდელიაო, რომ გიორგის ეწყინა კიდევაც – რა იყო, ქალბატონო ეკა, გამოუცდელობას ნაკლად მითვლითო?

როგორც გაირკვა, პოლიტიკაში გამოუცდელი გიორგი ბიზნესში საკმაოდ გამოცდილია და სერიოზულ კომპანიებში სერიოზულ წილებსაც ფლობს თურმე, შეთავსებით კი ორი წელი გუბერნატორობდა კიდევაც.

„სემინარის“ ხელმძღვანელი კვესიტაძე ხშირად უსვამდა ხაზს, რომ მას პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში მუშაობის ოცწლიანი სტაჟი აქვს და, ამდენად, მის სიტყვას, მის გამოცდილებას ახალბედა პოლიტიკოსები უნდა ენდონ.

ამ გადაცემას რომ ვუყურებდი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს კვესიტაძე გახარიას პარტიას შტატგარეშე პედაგოგად ჰყავს მიწვეული, რომელმაც დამწყებ პოლიტიკოსებს უნდა ასწავლოს, სად რა უნდა თქვან, სად რა არ უნდა თქვან, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, სად დასვან მთავარი აქცენტები და ა. შ.

„მთავარზე“ რომ ასეთი ამბები ხდება, ხომ წარმოგიდგენიათ, რა სალამ-ქალამი, რაა მობრძანდი-დაბრძანდია გაჩაღებული სხვა ტელეარხებზე.

მარტო იმის გახსენება რად ღირს, როგორ ერთხმად, როგორ ორგანიზებულად, როგორ ფართოდ გააშუქეს ამ ე.წ. ოპოზიციურმა ტელეკომპანიებმა გახარიას პარტიის პრეზენტაცია.

თითქმის ყველა ტელეკომპანიამ ღია ეთერში, პირდაპირი ჩართვით გადასცა გიორგი გახარიას გამოსვლა, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა.

მართალია, გახარიას პარტიის პრეზენტაცია ძალიან ჰგავდა გორბაჩოვის დროინდელი „პერესტროიკის“ პარტაქტივის სხდომებს, სადაც პარტიული ხელმძღვანელი ამხანაგები ძალიან ცდილობდნენ, მწვავედ გაეკრიტიკებინათ კომპარტიის ადრინდელი ქმედებები, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ, რადგან თვითონ იყვნენ იმ დროის შემოქმედები, რაც ახლა კრიტიკის ქარ-ცეცხლში უნდა გაეტარებინათ, თუმცა, როგორც ვთქვით, ამის გაკეთება, ფაქტობრივად, ხარაკირს და თვითმკვლელობას უდრიდა, ამიტომაც, სერიოზული და საფუძვლიანი კრიტიკის ნაცვლად, პარტმუშაკები წკიპურტების სროლით კმაყოფილდებოდნენ.

ესეც, ეს ახალი დროის გორბაჩოვი – გიორგი გახარია, წკიპურტებს ისროდა, ხანდახან მომცრომომცრო კენჭებსაც გაუქანებდა უჩინარ და უსახელო, მოდელირებულ ოპონენტებს, თუმცა ეს კენჭებიც, საბოლოო ჯამში, მის ბოსტანში ხვდებოდა.

გორბაჩოვის „პერესტროიკიდან“ არაფერი გამოვიდა, ვნახოთ, რა გამოვა გახარიას „პერესტროიკიდან“, თუმცა ეს არ არის მთავარი – მთავარი ისაა, ვინ მისცა ბრძანება ოპოზიციური ტელეარხების მესვეურებს: იმუშავეთ გახარიაზე, გააშუქეთ ყველა მისი ღონისძიება, სისტემატიურად მოიწვიეთ გახარია და მისი გუნდის წევრები თქვენს გადაცემებშიო!

ხომ საინტერესოა, რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი და რატომ გაუსკდათ ასე ერთბაშად სიყვარულის გუდა ამ ტელეარხებს აქამდე მიუღებელი და საძულველი გახარიასადმი?

„შერატონში“ გამართულ გახარიას პრეს-კონფერენციაზე ყველა ოპოზიციური არხი მივიდა, სამაგიეროდ, არ მივიდა „იმედი“ და „პოსტ-თV“, რომლებიც „ქართული ოცნების“ სატელიტ ტელევიზიებად ითვლებიან.

ნახეთ, რა სურათი დაიხატა? გახარიას მხარს უჭერს და თავისი ტელევიზიებით აქტიურად ეხმარება „ნაცმოძრაობა“, რითაც „ფაქტებით“ ამყარებს გავრცელებულ ხმებს, რომ გახარიამ უღალატა „ქართულ ოცნებას“ და „ნაცმოძრაობას“ შეეკრა.

ამ ვერსიას ხშირად იმეორებს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, რომლის მტკიცებითაც, გახარიამ თავისი მოულოდნელი გადადგომით ზურგში ლახვარი ჩასცა „ქართულ ოცნებას“ და ეს გააკეთა არა ემოციურ ფონზე, არამედ შეგნებულად, წინასწარი განზრახვით, გააზრებულად.

ამ დროს ექსპერტები, ანალიტიკოსები, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ არჩევნებში გიორგი გახარია შეეცდება, „ქართული ოცნების“ იმ მხარდამჭერთა ნაწილი გადაიბიროს, რომელიც სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო განაწყენებულია „ქართულ ოცნებაზე“ და ახალ საყრდენს, ახალ პოლიტიკურ ძალას ეძებს, ამ ახალ ძალად კი შეიძლება სწორედ გიორგი გახარიას პარტია მიაჩნდეს.

ვარაუდების ამ ხაზს თუ გავყვებით, ნათელი ხდება, თუ რატომ ცდილობს „ნაცმოძრაობა“ გახარიას გაძლიერებას – მან იცის, რომ გახარია ნაცების ელექტორატზე გავლენას ვერ მოახდენს, მაგრამ არსებობს შანსი, გაძლიერებულმა გახარიამ „ქართული ოცნება“ დააზარალოს და დააზიანოს და, როგორც „ქართული ოცნების“ ლიდერები ამბობენ – ხმები წაგლიჯოს.

არსებობს მეორე ალბათობა – რატომ არის გამორიცხული, რომ „ნაცმოძრაობის“ ხაზგასმული, ზედმეტად აჟიტირებული მხარდაჭერა გახარიას მისამართით, „ქართული ოცნების“ ყოფილმა მხარდამჭერებმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგონ და მართლაც ირწმუნონ, რომ გახარია ნაცებთან არის შეკრული.

ამ შემთხვევაში, ისინი, ცხადია, გახარიას სათოფეზედაც არ გაეკარებიან და არჩევანს სხვა ვინმეზე გააკეთებენ, რითაც „ქართული ოცნება“ თავიდან აიცილებს გარკვეულ საფრთხეს გახარიას მხრიდან.

გამოდის, რომ „ნაცმოძრაობა“ „ქართული ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს და, ფაქტობრივად, ეხმარება მას გახარიას განეიტრალებაში.

თუმცა „ნაცმოძრაობაში“ სულელები არ არიან, რომ ამ მარტივ კომბინაციას ვერ ხედავდნენ და ვერ ხვდებოდნენ.




ჩვენი აზრით, ნაცები ცდილობენ, აცდუნონ გახარია და აჩვენონ, რომ მათთან კარგია! თუ მათთან ხარ, საინფორმაციო უზრუნველყოფა გარანტირებული გაქვს – თითს დაიქნევ და რამდენიმე ტელევიზია მყისვე შენთან გაჩნდება, არც ყვირილსა და დებოშის ატეხვაში დაოსტატებული სამოქალაქო აქტივისტები მოგივარდებიან ყოველდღე და „თვალთხარიას“ არ დაგიძახებენ, არც ინგა დაგჭყივლებს ხაფი ხმით და არც ნიკუტა გვარამია გიკბენს მორიელივით, იქნები მშვიდად და მოყვები ზღაპრებს, თუ როგორ გინდოდა ქართული სახელმწიფოს აშენება და როგორ არ დაგანებეს მავნებელმა „ქოცებმა“.

ჩემი ვარაუდით, ნაცები ცოტა ხანს კიდევ აცლიან გახარიას, ცოტა ხანს კიდევ დააკვირდებიან და, თუ ჭკუას არ მოეგება და იმის ლაპარაკს არ დაიწყებს, რაც ნაცებს სურთ, ერთბაშად გადაუკეტავენ ყველა საინფორმაციო საშუალებას.

ე.წ. ოპოზიციური ტელეარხები – არა! იმედი და „პოსტ-TV“ ისედაც არა! რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში სრულ საინფორმაციო ალყაში მოქცეულმა გახარიამ?

უკან უნდა დაბრუნდეს თუ წინ წავიდეს, წინ კი ყრუ კედელია, რომელსაც ერთხელ უკვე გამოექცა?

რთულ მდგომარეობაშია ბატონი გახარია, თუმცა ამ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდებოდა, ამაზე მაშინ უნდა ეფიქრა, როცა თავისი პოლიტიკური კარიერა „აბრაგ“ მელიას შესწირა და ბრძოლის ველიდან თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა.

ქართველ საზოგადოებას დიდი თავსატეხი გაუჩნდა: ვინ არის გახარია? ქოცია თუ ნაცია?

ძველი ანეგდოტი გამახსენდა და უნდა მოგიყვეთ:

„გეპეის“ სტუდენტი ჰყვება: ცოლს ჰგონია, რომ საყვარელთან ვარ, საყვარელს ჰგონია, რომ ცოლთან ვარ. მე კი ვზივარ და ვხაზავო.

გახარიას საქმეც ასეა – ქოცებს ჰგონიათ, რომ ნაცია, ნაცებს ჰგონიათ, რომ ქოცია, ის კი ზის და ხაზავს თავისი ბუნდოვანი პოლიტიკური მომავლის კონტურებს.

**მიმომხილველი**

# დასავლეთი ვერ ხვდება, რომ კოალიციური მთავრობის პირობებში ქვეყანას პატრონი აღარ ეყოლება

*გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:*

**— ბატონო მამუკა, ცოტა ხნის წინ თურქეთის პრეზიდენტმა ჩვენს პრემიერ-მინისტრს, საკმაოდ, პომპეზური დახვედრა მოუწყო. თურქეთის ინტერესები კავკასიაში, ცნობილია. რა ხდება, დღეს, ამ მიმართულებით?**

— შეხვედრა მართლაც პომპეზური იყო. ასეთ შეხვედრებს, როგორც წესი, ძლიერი ქვეყნების წარმომადგენლობისთვის აწყობენ-ხოლმე. ამ შეხვედრის პარალელურად, აუცილებლად, უნდა გავაანალიზოთ ის ვითარება, რაც ზოგადად, კავკასიაშია. მთავარი ის გახლავთ, რომ ზუსტად ასი — 1921 წლის შემდეგ, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზ-



რისით, თურქეთი, სამხრეთ-კავკასიაში დაბრუნდა, თანაც, საკმაოდ აქტიურად და აგრესიულადაც კი. პრაქტიკულად, იგი, დღეს, აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებს აკონტროლებს, სამშვიდობო პროცესის მონაწილეა, სამხედრო კონტინგენტი როგორც სამშვიდობო ჯგუფი, ყარაბაღში ჰყავს და პლუს, ახლა, თავად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის მშენებლობას იწყებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეკონომიკური თვალსაზრისით, აზერბაიჯანში საკმაოდ მყარად არის, ასევე, ჩვენს ქვეყანაშიც. საქართველოს ეკონომიკური ბმა თურქეთზე ძალიან დიდია, ხშირ შემთხვევაში, ჩვენი ინტერესების შელახვის ხარჯზე. მოგეხსენებათ, თურქეთი ძლიერი, მდიდარი ქვეყანაა და საქართველოში ეკონომიკური გავლენების შენარჩუნებას ყველა მეთოდით ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი აშშ-ს მოკავშირე და ჩრდილოეთ-ატლანტიკური ალიანსის საკაოდ წონიანი წევრია, ის ცდილობს რეგიონში საკუთარი თამაში ითამაშოს და თავისი პოლიტიკა გაატაროს. ამის ნათელი მაგალითია ყარაბაღის მოვლენები. პრაქტიკულად, თურქეთმა და რუსეთმა ყველაფერი გააკეთეს, რათა რეგიონში დასავლეთის უფლებები შეეზღუდათ. აი, ამიტომ იყო თურქეთში ღარიბაშვილის ვიზიტი ასეთი პომპეზური. ამ ყველაფრის ბოლო შტრიხი კი შემდეგია: თურქეთს ძალიან უნდა საქართველო, როგორმე, ექვსეულის ფორმატში ჩაითრიოს, რაც რუსეთმა და თურქეთმა იმისათვის მოიფიქრეს, რათა სამხრეთ-კავკასიის გავლენები მათ შორის გადანაწილებულიყო და ირანისთვის შედარებით ნაკლები გავლენა დაეთმოთ. დანარჩენი სამი ქვეყანა, აქ, მარიონეტი და მეორეხარისხოვანია. ჩათვალეთ, რომ თურქეთის აქტივობა, ექვსეულში საქართველოს შეყვანის თაობაზე, მოსკოვთან არის შეთანხმებული. თვითონ მოსკოვს, გასაგები მიზეზების გამო, ამის კეთება გაუჭირდება, ამიტომ, თურქეთის მეშვეობით მოქმედებს.

**— კავკასიის რეგიონში გავლენების გასამყარებლად ბრძოლა მიდის. როგორ აიხსნება ყოველივე საქართველოს დღევანდელობაზე. რით აიხსნება დასავლეთის ასეთი ყურადღება ჩვენს მიმართ?**

— რასაკვირველია, ყარაბაღის მოვლენებმა გეო-პოლიტიკური ვითარება შეცვალა. დასავლეთი ყველაფერს აკეთებს, ხანდახან, საკუთარ თავზე მაღლა ხტება იმისთვის, რომ სამხრეთ-კავკასიიის სივრცეში თავისი პოლიტიკური გავლენები დააბრუნოს. სწორედ ამისთვის იყო დასავლეთის მხრიდან დიდი აქტიურობა, როდესაც აქ, მიშელის მეთაურობით ძალიან მაღალი რანგის ჩინოვნიკები ჩამოდიოდნენ, რათა ჩვენს ქვეყანაში სტაბილური ვითარება დაებრუნებინათ. ეს ვიზიტი საქართველოს სიყვარულით კი არ იყო განპირობებული, არამედ იმით, რომ სამხრეთ-კავკასიის დასაბრუნებლად, დასავლეთს, სერიოზული პლატფორმა სჭირდება. ეს პლატფორმა, შეიძლება, მხოლოდ საქართველო იყოს. ამიტომ, აქ, აუცილებლად, სტაბილური ვითარება უნდა იყოს, რათა დასავლეთმა თავისი გეგმა განახორციელოს.

საქართველოსა და კავკასიის სივრცის გარდა, არის კიდევ შავი ზღვის საკითხი, რომელიც უმნიშვნელოვანესია დასავლეთისთვის, ნატოსთვის და კერძოდ, აშშ-სთვის. იგი, საქართველოში, გავლენებს თუ დაკარგავს, აქედან გამომდინარე, სამხრეთ-კავკასიასა და შავ ზღვაშიც იგივე პრობლემის წინაშე დადგება. მათ ეს ძალიან კარგად გააცნობიერეს და ამიტომაც ანერვიულდნენ. პლუს, ამას ემატება ის, რომ დასავლური გათვლებით, უკრაინისა და საქართველოს საზოგადოებები შეურაცხყოფილნი უნდა იყვნენ იმით, რომ ნატოს სამიტზე არ დაპატიჟეს. თავი რომ მოუქონონ უკრაინის და საქართველოს ხელისუფლებას, საზოგადოებას, საჭირო გახდა ასეთი მაღალი რანგის ჩინოვნიკების შეხვედრები. სამიტზე არდაპატიჟება კატასტროფა არ არის. ქართული პოლიტიკის იწილო-ბიწილოს გამო, აქ, საზოგადოებას არც მიუქცევია ყურადღება იმისთვის, რომ საქართველო ნატოს სამიტზე დაპატიჟებული არ არის.

**— რა დგას პრო-დასავლური რიტორიკის უკან. შარლ მიშელმა განაცხადა: ოპოზიცია რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალსო. მეორე მხრივ, დასავლეთის სახელით, დამნაშავეების შეწყალება ხდება. რა უნდა დასავლეთს?**

— დასავლეთს სურს შექმნას ქვეყანა პლატფორმა, რომლის ტერიტორიიდან შესაძლებელი იქნება არამხოლოდ სამხრეთ-კავკასიაში, არამედ ცენტრალურ აზიაშიც დასავლური პოლიტიკის გატარება, პლუს სამხრეთის მიმართულებით სივრცეების კონტროლი, ვგულისხმობ, წინა აზიის ტერიტორიას, პლუს საზღვარი ჩრდილოეთ-კავკასია, რომელიც რუსეთის ნაწილია. მოკლედ, ამერიკელებისთვის მნიშვნელოვანია სამხრეთ-კავკასიაში მყარი მდგომარეობის შექმნა. ეს შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიიდან. აი, ეს უნდათ. ჩვენ, ხშირად, ვსაუბრობთ იმაზე, რომ დასავლეთი თავისი პოლიტიკური კლიმატის შექმნას ცდილობს, კერძოდ, საქართველოში თავისი ფასეულობების დანერგვით. ეს გახლავთ ეკონომიკური, პოლიტიკური, ფინანსური მართვის წესები. ბევრი ისეთი რამის დანერგვა ხდება, რაც ერთი მხრივ, დასავლეთს აქ ყოფნას და თავისუფალი პოლიტიკის გატარებას უიოლებს, მაგრამ ეს, აბსოლუტურად, მიუღებელია აქაური საზოგადოებისთვის.ე.ი. პრაქტიკულად, ასე გამოდის: დასავლეთს არამარტო თავისი პოლიტიკური, არამედ იდეოლოგიური ბაზის შექმნაც უნდა. ამ ფასეულობების ნაწილი საზოგადოებისთვის, აბსოლუტურად, მიუღებელია. აქედან გამომდინარე, ეს იწვევს ანტაგონიზმს და რეგიონში, დასავლური იდეის განვითარებას, უაღრესად ამუხრუჭებს.

**— შარლ მიშელის დოკუმენტი ბიბლიად გავიხადეთ. „ქართული ოცნება“ თვითმმართველობის არჩევნებში 43%-ს თუ მიიღებს, ამით გადავრჩებით? რა შუაშია თვითმმართველობის არჩევნები საპარლამენტოსთან, ეს რა ლოგიკაა?**

— კარგი კითხვაა. ეს კითხვა ბევრ რიგით მოქალაქეს აწუხებს. სოციალური პრობლემატიკით დაკავებული მოქალაქეების საზრუნავი რით იკვებონ, ეს გახლავთ. ის რომ პოლიტიკური პროცესი ცალკე მიდის და საზოგადოებრივი ცხოვრება — ცალკე, იმდენად ნათლად გამოჩნდა, რომ უკვე უხერხულობაც იქმნება. აი,



ამ ვითარებამ კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საქართველოს პოლიტიკური კულტურის ძალიან დაბალ დონეს, უკულტურობას. ჩვენ, პრაქტიკულად უცხოურ პოლიტიკურ ელიტას საშუალებას ვაძლევთ ჩვენს საქმეებში ძალიან აქტიურად ჩაერიონ. რაც უფრო გააღებ კარს, ბუნებრივია, მით უფრო გააქტიურდებიან. დასავლელი პოლიტიკოსები რომლებიც ჩართულნი არიან შერიგების, პოლიტიკაში სტაბილიზაციის შექმნის პროცესში, გაკვირვებულნი არიან იმდენად ფართოდ გააღო ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ კარი, რომელიც მათ ეუბნება: თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება ჩვენს ნაცვლადო. ეს ქვეყნისთვის უბედურებაა. ის სამარცხვინო სურათი, რომელიც ორბელიანების სასახლეში ხელის მოწერისას იყო, ჩემი ცნობიერებიდან არასდროს ამოვა. ამ თვალსაზრისით რთული ვითარებაა შექმნილი. ჩვენ თუ გვინდა, რომ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ, მარტო ატრიბუტიკა კი არ არის საკმარისი, არამედ სახელმწიფოებრივი პოლიტიკური თავმოყვარეობა. რის უფლებასაც მისცემ იმას გააკეთებს იქნება ეს დასავლეთი, რუსეთი თუ სხვა ნებისმიერი მეზობელი. თუ პოლიტიკური თავმოყვარეობა არ ექნებათ, შედეგი, ყოველთვის, ასეთი იქნება. რაც შეეხება 43%-ს, ეს ციფრი მმართველი ძალის მიერ დასახელდა. აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნება“ თვლის, რომ მას შეუძლია 43% აიღოს. „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის კულუარული ფარიკაობა მიდის — ვინ უფრო მიჰყვება დასავლურ ნარატივებს. გამოდის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ეს ამოცანა ბევრად უკეთ გადაჭრა. „ნაცმოძრაობამ“ ვაჭრობა დაიწყო. ეს იმიტომ კი არა, რომ დასავლეთს ანგარიშს არ უწევს. არა! დასავლეთს ანგარიშს ძალიან კარგად უწევს, მაგრამ თავისი ლობისტური ინსტიტუტების მეშვეობით ცდილობს იგი დაარწმუნოს, რომ დასავლეთისთვის საქართველოში თავად უფრო საჭირო და მნიშვნელოვანი ძალაა.

**— რაც უფრო მეტი პარტია შევა პარლამენტში, მით მეტი შანსი ექნებათ კოალიციური მთავრობა შექმნან. ეს რამდენად მისაღებია ქვეყნისთვის, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები ძალიან სუსტია?**

— დიახ, დასავლეთი ფიქრობს, რომ კოალიციური მთავრობის კონტროლი უფრო მარტივი იქნება, რათა საკუთარი პოლიტიკა გაატარონ. მაგრამ ვერ ითვალისწინებენ კავკასიურ მენტალიტეტს. მათ არ იციან, რომ კოალიციური მთავრობის ხელში, ქვეყანას პატრონი აღარ ეყოლება. მით უფრო ქაოტური ვითარება იქნება, რაც დესტაბილიზაციას გამოიწვევს, ეს უკანასკნელი კი დასავლეთის გავლენების შემცირებას და ა.შ. სამწუხაროდ, ამას ვერ ხვდებიან და ცდილობენ ერთნაირი მეთოდოლოგიით იმოქმედონ, როგორც აფრიკაში, ლათინო-ამერიკაში, ისე საქართველოში. ამიტომ აქვს, ბოლო დროს, დასავლურ პოლიტიკას ამდენი მარცხი. ამის მაგალითებია ერაყი, ავღანისტანი და ა.შ.

**— „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში შევიდა. ევროპამ მეორედ დაგვწერა მათზე ჯვარი?**

— ევროპამ კი არ დაგვწერა, ეს, ჩვენ, თავად მოვახერხეთ და მათზე ჯვარი დავიწერეთ. ხელისუფლებამ თავიდანვე არ გადადგა სწორი ნაბიჯი, რათა შეეზღუდა ის რადიკალიზმი, რაც ოპოზიციურ ძალებში გაჩნდა. მან ოპოზიციაში მოკავშირის პოვნა ვერ მოახერხა. ეს ძალიან ცუდია იმიტომ, რომ კოალიციური მთავრობები სწორედ შიდა პოლიტიკური თამაშების შედეგად იქმნება.

**— პოლიტიკაში ახალი მოთამაშეები — გახარია და ვასაძე შემოვიდნენ. როგორ გესახებათ მათი მომავალი?**

— ჯერჯერობით, პოლიტიკაში შემოსული გახარიაა, ვასაძის აქტივობა არ ჩანს. ვასაძეს აქვს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც გულისხმობს პოლიტიკის კეთებას ტრადიციონალიზმზე დაყრდნობით. ანუ, ტრადიციული ფასეულობების პროპაგანდა და ქართული იდეოლოგიის ჩამოყალიბება. პრინციპში, ამას თავისი ხიბლი აქვს. ამიტომაც ვასაძესთან ბევრი ადამიანი ცდილობს შეხვედრას. რაც შეეხება გახარიას, საზოგადოებაში გაოცება, ზოგ შემთხვევაში, გულისწყვეტა გამოიწვია თავად პრეზენტაციის ფორმამ, მისი გუნდის წარდგენამ და მერე, გამართულმა პრესკონფერენციამ, სადაც ახალი არაფერი თქმულა არც გადადგომის მიზეზებზე და არც იმაზე, როგორ ხედავს იგი საქართველოს განვითარებას. მოკლედ, იმედგაცრუების ნიშნები გაჩნდა.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ჩვენს ეროვნულ ბანკს სახელად კი ჰქვია ეროვნული, მაგრამ, სინამდვილეში ის უცხოური ინსტიტუტების ყურმოჭრილი მონაა

*გვესაუბრება საბანკო საქმის ექსპერტი, პროფესორი ლია ელიავა:*

**— ქალბატონო ლია, რამდენიმე დღის წინ, „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტი პარლამენტში წლიური ანგარიშით წარსდგა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მისი მოხსენებიდან?**

— „საქართველოს ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტის გამოსვლამ, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. ფაქტობრივად, არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ რას აკეთებს აღნიშნული უწყება, არსებითად, ქვეყნის ეკონომიკისათვის. მოხსენება საკმაოდ ზერელე იყო, ფაქტობრივი მასალის გარეშე, არც ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კუთხით თქმულა რამე. ანუ, იმ მიმართულებით, რასაც პარლამენტი „საქართველოს ეროვნულ ბანკს“ ყოველწლიურად უმტკიცებს. შესაბამისად, „ეროვნული ბანკის“ საქმიანობა ამ წლიურ ანგარიშში ახსნილი არ იყო. მეტიც, „ეროვნულმა ბანკმა“ ვერაფრით დაასაბუთა, რომ ის ქვეყნისთვის, მართლაც, აკეთებს რაღაც



სასიკეთოს. ერთადერთი რაც აშკარა იყო, შემდეგია: „ეროვნული ბანკის“ საქმიანობა, საქართველოს ეკონომიკის მოთხოვნილებებისგან, ძალიან შორს დგას. შესაბამისად, წლიური ანგარიშის მოსმენისას ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დამრჩა. აქვე, ერთსაც ვიტყვი: 2020 წლის მიმდინარე ანგარიში, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდებოდა წინა წლების ანგარიშებისგან — ისეთივე უსახური, არაფრისმთქმელი, უბრალოდ, სიტყვების რახა-რუხი ჟღერდა და სხვა არაფერი. სიტუაცია, ამ მხრივ, საკმაოდ მძიმეა.

**— ბოლო პერიოდში ლარი საგრძნობლად გამყარდა. ქვეყანაში ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა — არც მილიარდიანი ინვესტიცია შემოსულა, არც ტურისტების ნაკადი მოგვწყდომია. მაშ, რამ განაპირობა ლარის გამყარება?**

— ლარის გამყარება იმან გამოიწვია, რომ აშშ-ის დოლარი მნიშვნელოვნად გაუფასურდა. ამერიკას, ახლა, ეკონომიკის მხრივ ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს — იქ, ინფლაცია ძალიან მაღალია. ეკონომიკაში არსებულ დღევანდელ მდგომარეობას 2008 წლის საფინანსო კრიზის ადარებენ. შედეგად, თვითონ დოლარი არის გაუფასურებული, რასაც ხელი იმან შეუწყო, რომ აშშ-მ დიდი ოდენობის არაუზრუნველყოფილი ფული დაბეჭდა და მოსახლეობაზე, საკმაოდ, მსუყე-მსუყე დახმარებები გასცა. ახლა კი, შედეგი იწვნიეს. ანუ, როდესაც დოლარის კურსი ვარდება, იგი, შესაბამისად, სხვა ქვეყნების ვალუტებზეც აისახება და ეს უკანასკნელი მყარდება. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ეს პროცესი უსასრულო არ არის. ბოლოსდაბოლოს, ამერიკის ეკონომიკა ფეხზე წამოდგება, დოლარი გამყარდება, ჩვენი ლარი კი ისევ ვარდნას დაიწყებს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ლარის გამყარება საოცრად დაემთხვა პარლამენტში „ეროვნული ბანკის“ წლიური ანგარიშის წარდგენას. სანამ ეს საკითხი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე არ იქნება განხილული, მანამ ლარი ასეთ მდგომარეობაში იტივტივებს, ხოლო შემდგომ, როცა პარლამენტი „ეროვნულ ბანკს“ წლიურ ანგარიშს წარმატებით დაუმტკიცებს, ლარი ისევ ვარდნას დაიწყებს.

**— ამ მახინჯ სისტემას ვინ მართავს?**

— მოგახსენებთ: „ეროვნული ბანკი“ არ გახლავთ საქართველოს ეკონომიკაზე მომუშავე სტრუქტურა. იგი, ფაქტობრივად, საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტებისათვის მოღვაწე, მათი ინტერესების გამტარებელი სტრუქტურაა. შესაბამისად, მათ მიერ, საქართველოს ეკონომიკის საკეთილდღეოდ რაიმე ინიციატივის გამოჩენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ყველაფერი რასაც „ეროვნული ბანკი“ აკეთებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მითითებით ხდება. ამ ფონდისთვის მთავარი ამოცანა სრულებით არ გახლავთ ჩვენსავით ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკის გაჯანსაღება და წინ წაწევა. არა! მათ სხვა ამოცანები გააჩნიათ. მათთვის მთავარი ორი რამ არის: ქვეყანაში სიწყნარე იყოს და ფული თავისუფლად მოძრაობდეს. ანუ, უკონტროლოდ შემოდიოდეს და გადიოდეს. ბუნებრივია, ის სავალუტო რეზერვები, რომელსაც „ეროვნული ბანკი“ აგროვებს, აუცილებლად, იქ უნდა განთავსდეს, სადაც ამას საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიუთითებს. ასე, რომ „ეროვნული ბანკი“ არის უცხოური ინსტიტუტების ყურმოჭრილი მონა.

**— ანუ, სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის მონები ვართ?**

— ჩვენ არა, მაგრამ „ეროვნული ბანკი“ ნამდვილად მათი მონაა — ქვევრივით რასაც ჩასძახებენ, ესეც, იმას ამოსძახებს.

**— კომერციულ ბანკებს კრედიტის გაცემის უფლება აქვთ. „ეროვნული ბანკი“ კი, მხოლოდ, მაკონტროლებლის, მარეგულირებლის ფუნქციით შემოიფარგლება...**

— მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში ცენტრალური ბანკი ფიზიკურ პირებზე სესხს არ გასცემს. ისინი სესხს კომერციულ ბანკებზე გასცემენ, რასაც რეფინანსირების სესხი ჰქვია. ასევე, საგანგებო შემთხვევაში შეუძლიათ მთავრობა დააფინანსონ. თუმცა, ჩვენთან — საქართველოში ამის გაკეთების უფლება „ეროვნულ ბანკს“ არ გააჩნია. სხვა ქვეყნებში, ეს, მიღებული პრაქტიკაა — როდესაც მთავრობას უჭირს (ჩვენს შემთხვევაში იძულებული ვხდებით სესხი უცხოეთიდან ავიღოთ), მას ცენტრალური ბანკი აფინანსებს, რათა იგი სხვა ქვეყნების მიმართ სავალო ვალდებულებაში არ აღმოჩნდეს. ჩვენი „ეროვნული ბანკის“ საქმიანობა კი, განაპირობებს იმას, რომ საქართველოში საბანკო, მათ შორის, საკრედიტო პროდუქტი როგორიც არის სესხი, კრედიტი, საკმაოდ ძვირია. ეს სწორედ მისი საქმიანობის შედეგია. პირველ რიგში, სესხის სიძვირე რეფინანსირების განაკვეთის სიძვირით არის განპირობებული. შესაბამისად, საქართველოში, 90% შემთხვევაში, სესხის სიძვირე „ეროვნული ბანკის“ არასწორი ქმედებებით არის განპირობებული. ანუ, მაღალი რეფინანსირების განაკვეთით, ინფლაციით.

**— „ეროვნულ ბანკს“ მხოლოდ მარეგულირებლის ფუნქცია იმიტომ ხომ არ აქვს, რომ კომერციულმა ბანკებმა ფული აკეთონ?**

— „ეროვნული ბანკი“, რა თქმა უნდა, კომერციულ ბანკებს თავის საქმიანობაში ხელს უწყობს, მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად, იგი, თითქოს, კრიზისულ სიტუაციაში, მათ რეგულირებას ამკაცრებს. მაგალითად, ახლა, პანდემიის დროს, რეგულირება შეარბილა. ამის მაგალითია, ასევე, 2008 წლის კრიზისი. „ეროვნულმა ბანკმა“ მაშინაც ძალიან შეარბილა რეგულირება. ახლაც, კომერციულ ბანკებს მოთხოვნები შეურბილა. „ეროვნული ბანკი“, ხშირად, იყენებს-ხოლმე ინდივიდუალური ნებართვების გაცემის სისტემას რომელიმე კომერციულ ბანკზე. ბანკი სთხოვს: მე, მჭირდება ამა თუ იმ რაღაცის გაკეთება და შედეგად, სავალდებულო ნორმატივების დაცვას ვერ შევძლებო. „ეროვნული ბანკი“, ინდივიდუალური წესით, მას ამის უფლებას აძლევს. ასეთი მომენტები, სამწუხაროდ, ხშირად, არ საჯაროვდება-ხოლმე. ყველაფერი თავად „ეროვნულ ბანკში“ იხარშება და ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. მინდა გითხრათ, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში“ აუდიტის სამსახურს შემორჩენილი აქვს, მხოლოდ, ფინანსური ანგარიშების აუდიტი.





მას უფლება არ აქვს ეფექტიანობის აუდიტი განახორციელოს. აუდიტის სამსახურს „ეროვნულ ბანკში“ ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების კანონიერი საშუალება რომ ჰქონდეს, ისეთ რაღაცებს გამოავლენდა, ვფიქრობ, ამ სტრუქტურის საქმიანობას სულ წააყირავებდა და საზოგადოებას შოკში ჩააგდებდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, აუდიტის სამსახურს ამის უფლება არ გააჩნია.

**— პანდემიის დროს, როცა ეკონომიკა სავალალო მდგომარეობაში იყო, კომერციული ბანკების სუფთა მოგებამ 198 მილიონი შეადგინა. ამის მიზეზი რა არის?**

— მიზეზი მარტივია — ბანკებზე პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები არ აისახა. მათ ისე აქვთ საკითხი მოგვარებული, კლიენტი თუ საკრედიტო დავალიანებას არ გადაიხდის, ბანკი, ეგრევე, უძრავ ქონებას წაართმევს. ადამიანები დავალიანებას ამის შიშით იხდიან. შესაბამისად, კომერციულ ბანკებს ფუნქციონირებაში პრობლემები ნაკლებად დაეტყოთ. საფინანსო სექტორი პანდემიამდეც ყველაზე წარმატებული იყო, პანდემიის დროსაც და მას მერე, რაც ეს ჩაივლის, სულ მთლად აყვავდებიან.

ზოგადად, ცენტრალური ბანკის საქმიანობა ძალიან სპეციფიური ეკონომიკური სფეროა, რაშიც ბევრი ეკონომისტიც კი ვერ ერკვევა. ანუ, ბევრს წარმოდგენა არ აქვს „ეროვნული ბანკი“ რას საქმიანობს. რატომ უმტკიცებს, ყოველწლიურად, საქართველოს პარლამენტი „ეროვნულ ბანკს“ წლიურ ანგარიშს ტაშფანდურით? — იმიტომ, რომ თავად პარლამენტარებმა არ იციან, ვერ ერკვევიან ამ უწყების საქმიანობაში. ახლა, რადგან გამოჩდნენ პარლამენტარები ვინც საბანკო საქმეში კარგად ერკვევიან, იმედია, ვითარება შეიცვლება, „ეროვნული ბანკიც“ აზრზე მოვა და მიხვდება: არ შეიძლება საქართველოს პარლამენტს მოაჯდე და ასე უსინდისოდ თავზე გადაუარო.

**— „ეროვნული ბანკი“ აცხადებს: სავალუტო პოლიტიკა ჩვენი საქმე არ არისო. აბა, რაზეა პასუხისმგებელი?**

— „ეროვნული ბანკი“ საქართველოს პარლამენტს, ყოველწლიურად, დასამტკიცებლად უგზავნის დოკუმენტს, რომელსაც ჰქვია: ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. შესაბამისად, პარლამენტი ამ დოკუმენტს უმტკიცებს. ანუ, „ეროვნული ბანკის“ მხრიდან იმის თქმა, რომ სავალუტო პოლიტიკა მისი საქმე არ არის, ეს საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრაა. წარმოიდგინეთ, როცა ლარის კურსი მკვეთრად მერყეობს, „ეროვნული ბანკი“ სავალუტო ინტერვენციებს ხომ ახორციელებს იმისთვის, რომ ლარი, მეტ-ნაკლებად, დაასტაბილუროს. მისი საქმე თუ არ არის ლარის სტაბილურობა, ამ ფულს რატომ ხარჯავს?! რატომ ახორციელებს ინტერვენციებს?! სავალუტო ინტერვენციები ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რაც „ეროვნულ ბანკს“ ხელთ გააჩნია. ასეთი საჯარო ტყუილებისთვის, მან პასუხი უნდა აგოს.

**— მცურავ კურსზე რას გვეტყვით, რამდენად ეფექტურია?**

— რაც შეეხება მცურავ კურსს, ეს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნაა, რასაც „ეროვნული ბანკი“ ყურმოჭრილი მონასავით დასთანხმდა და ასრულებს. სულ არ აინტერესებს საქართველოს ეკონომიკა მზად არის ამ მცურავი კურსისთვის თუ არა, ეს რა შედეგს გამოიღებს და ა.შ. დიახ, ეს ფაქტორები მას არ აინტერესებს იმიტომ, რომ ბრძანება აქვს მიღებული და ზედმიწევნით ასრულებს.ე.წ. მცურავი სავალუტო კურსი ქვეყნის ეკონომიკას რომ არ რგებს, ეს „ეროვნულ ბანკს“ აღარ ადარდებს.

საერთოდ, რა აზრი აქვს ასეთი „ეროვნული ბანკის“ არსებობას?! ყველაზე რთული საყურებელი იცით რა არის? — ის, რომ ჩინოვნიკი რომელიც დროებით არის მოსული და როდესმე აუცილებლად წავა, ისეთ ნაბიჯებს დგამს, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის საზიანოა. ისინი აზრსაც არავის ეკითხებიან: რამდენად სწორად იქცევიან ან პირიქით, რა შედეგი მოჰყვება ამ ნაბიჯებს ქვეყნის ეკონიმიკისთვის, მოსახლეობისთვის. ანუ, მათ პროგნოზირების არავითარი უნარი გააჩნიათ. ისიც არ იციან რა შედეგს მოიმკიან ერთი, ორი თუ ათი წლის მერე ამა თუ იმ მცდარი გადაწყვეტილების შედეგად. ეს არაპროფესიონალიზმი, უცოდინარობა „ეროვნული ბანკის“ სენია, თან, როგორც ჩანს, განუკურნებელი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# ღმერთო, რატომ დაგვემართა ესა და არა მხოლოდ ესა?!

ნება მიბოძეთ, ამჯერად წერილი ჟურნალისტ მერაბ ხაჩიძის ამონათქვამით დავიწყო: „ფარსმანი, ფარნაოზი, მირიანი, ვახტანგი, აშოტი, დავითი, გიორგი, აღმაშენებელი, თამარი, ბრწყინვალე, ერეკლე, დიდგორი, ბასიანი, მარტყოფი, ბახტრიონი, ასპინძა...

მიშა, გრიშა, გირჩი ზურაბა, მაწყევარა მურმანა, ფანჩატურა შალიკო, დანა-ჩანგალი დათიკო, გიორგი-შარლიკო, მოქალაქე ალიკო, გრძელი ზალიკო, თიმსალ-თაკო, სიდედრის აკო და...

— ღმერთო, რომ ხარ ქე ვიცი,



რა მინდა ქე იცი და აწი შენ იცი“!

ვერ დაგიმალავთ, მომწონს მერაბის მიერ გატარებული პარალელიზმი, მაგრამ ერთი რამ მაოცებს, რატომ მივდივართ უკუღმა, რატომ ვვითარდებით პირიქით, რატომ ტრიალებს დედამიწა რაღაცნაირად? ბიჯოოო... პირიქით უნდა ყოფილიყო! ადრე, უწიგნობისა და უშუქობის პერიოდში, როცა ადამიანები ჩირაღდნებით დარბოდნენ, უფრო ჭკვიანურად აზროვნებდნენ, ქვეყნის მეთაურებად ლამის ტიტანები იყვნენ, რომლებიც საოცრებებს სჩადიოდნენ, ომებს იგებდნენ, მტრებს იგერიებდნენ, მოღალატეებს საკადრის პასუხებს სცემდნენ, ეხლა კი რა გამოვიდა? ჰა, რა გამოვიდა-მეთქი? შეიხედავ პარლამენტში, წამოწოლილა თეთრ სავარძელში ვინმე მეგრელიშვილი და იკრიჭება ყინვაზე წაქცეული ვირივით!

რატომ დაგვემართა ესა და არა მხოლოდ ესა?! ამის დედა ვატირე... მაშ, უკეთესის ღირსნი არ ვიყავით? მაშ, აღმაშენებლისა და თამარის ქვეყანა ცოტა უკეთესს მაინც არ იმსახურებდა?!

მარტო ეს რომ იყოს, მარტო ერთი მეგრელიშვილი რომ შეგვპაროდა, კიდევ რა გვიჭირდა? ამაზე უარესებით გამოიტენა საკანონმდებლო ორგანო, ხაჩიძემ კიდევ ცოტანი ჩამოთვალა. აგერ სურათი, ნახეთ, რის დამწერია, რის გამკეთებელია, რის მომფიქრებელია? ან სხვები რის გამკეთებლები არიან, როცა „თხა და გიგოც“ კი არ წაუკითხავთ?

ამ დღეებში გიორგი (ჯუნიორ) ვაშაძემ, ასერიგად რომ გაბლატავებულა და თავი აღმაშენებელი ჰგონია, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ დეპუტატს მიმართა, შენა, ბიჭო, მიდი, მოდი, გაიარე, „თხა და გიგო“ წაიკითხეო. ჰა, ჰა, ჰა... „თხა და გიგოო“, კაცოოო, გეგონება თვითონ უკვე გადალანდრა. არა, ეს ადამიანი მთელი ცხოვრება დავით აღმაშენებლის სტრატეგიას ამუშავებს, იაკობ გოგებაშვილის უკვდავი ნაწარმოები როდისღა უნდა წაეკითხა? ისე, ბოლო დროს ძალიან ბევრი ახსენებს „თხა და გიგოს“ და გამიჩნდა სურვილი, ერთად გავიხსენოთ:

„იყო ერთი ზარმაცი გიგო. ერთხელ თქვა: მოდი, ერთი თავს გამოვიჩენ ბეჯითობითაო. გამოვიდა სახლიდან, გამოიტანა თან წიგნი და გავიდა სოფლის მოედანზე. ჩამოჯდა იქ კუნძზე, დაიდო წიგნი მუხლებზე და შიგ ცქერა დიწყო, ვითომ ერთი შემომხედეთ, რა ბეჯითი ბიჭი ვარო. წიგნი უკუღმა ედო, არ კითხულობდა და შიგ ტყუილად იცქირებოდა. მალე ძილი მოერია და თავს ასკილივით აქნევდა. ამ დროს მეზობლის თხა ფეხების ბაკუნითა და წვერის ცანცარით ბაკიდან გარეთ გამოვიდა. გიგოს თავის კანტური რომ დაინახა, თხას ეგონა, ჭიდაობაში მიწვევსო, გამოექანა, დაეჯახა რქებით, ყირამალა გადაატრიალა და ააღრიალა ჩვენი თავმომწონე გიგო“.

აი, ეს არის „თხა და გიგო“, მალიმალ რომ წამოაძახებენ ხოლმე, მიდი, ბიჭო, გაიარე, კოჭი გააგორე, „თხა და გიგო“ წაიკითხე, ფისი ქენი, დაიძინეო.

არა, არა და არა, შევეშვათ ამ თემას, ჩვენი წიგნიერებიდან რატომ მოვედით არნახულ უწიგნურობამდე, ეს კიდევ სხვა საკითხია და უახლოეს



მომავალში ამაზეც გაგესაუბრებით. თუმცა, მოიცადეთ, ბუნებაში არსებობს ფოტო, სადაც მიხო სააკაშვილი ზუსტად გამოხატავს გიგოს, ანუ ზუსტად ჰგავს ყმაწვილ გიგოს, რომელსაც წიგნი უჭირავს უკუღმა. კი ისწავლა მიხომ რამდენიმე უცხო ენა, მაგრამ ქართულად წერა-კითხვა არ იცის და შესაბამისად, ხედავთ, მეტყველებაც უჭირს.

მოკლედ, ძალიან მაინტერესებს, ამის დედა ვატირე, მაინც რა ცოდვა ავიკიდეთ ისეთი, რატომ დაგვემართა ესა და არა მხოლოდ ესა?!

აი, მაგალითად, რატომ დაგვემართა ის, რაზეც რუსეთთან ომის ვეტერანი დავით ახრახაძე გვთავაზობს. ხალხო, ეს იუმორია, მაგრამ ნაღდია, ასეთი მსჯელობა ხშირად მომისმენია, ალბათ თქვენც მოგისმენიათ:

„კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ თურქების, აზერების, სომხების, რუსების და საერთოდ ყველა უცხოელის ჩვენ ზღვის კურორტებზე დაშვების... ვერ ჩავაფსმევინებთ ჩვენ, ქართველები ვიღაც გადამთიელებს ჩვენ ზღვაში! არც საჰაერო სივრცე არ მემეტება მათთვის... გვაფსამენ, ხალხო, თვითმფრინავებიდან და ამას ვითმენთ“?!

ისე, მართლა რავარი მოსათმენია, ჰა? ჩამოდიან, გულაობენ, ჭამენ, სვამენ და ზღვაში გვიფსამენ. ჰო, მიფრინავენ, მოფრინავენ და ზემოდანაც გვაფსამენ. ვიცი, ზოგიერთნი ჩაილაპარაკებთ, შინაურები გვაფსამენ, გარეულებს რას ვერჩით, ისინი ამ საქმეში ფულს მაინც იხდიანო. სრული სიმართლეა, უცხოელები რომ მოდიან, ფული ჩამოაქვთ, ამ ე.წ. ოპოზიციონრებს რა ჩემი ფეხები მოაქვთ? არც არაფერი, პირიქით, იქით მიაქვთ, იქით ხრავენ ბიუჯეტსაც და ქვეყანასაც. შვიდი თვე ეყარნენ უსაქმოდ, შვიდი თვის განმავლობაში იყარეს მახათათი ერთ ადგილას და რა? ხელფასებზე თქვეს უარი თუ საპარტიო დაფინანსებაზე? არცერთზე, ბოლო „კაპეიკამდე“ წაიღეს სახლებში ამ წუწკებმა!

აი, ამ გაზეთის რედაქტორის გამონათქვამიც მომწეონა, წინა ნომერში რომ წამოიძახა თავისი წერილის სათაურად: „შევიდნენ! შეშავდნენ! შებნელდნენ! შეგველდნენ“!

საინტერესოა, რატომ შევიდნენ, რატომ შეშავდნენ, რატომ შებნელდნენ, რატომ შეგველდნენ?!

ჩვენაო, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ევროპული მედიაციით შემოთავაზებულ დოკუმენტს ხელი არ მოვაწეროთო (ამ ჩემ ფეხებს!), — განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ რაღაცნაირმა თავმჯდომარემ, ციხიდან გამოსვლის შემდეგ მიხვრა-მოხვრაც რომ შეეცვალა (აღარაფერს ვამბობ მეტყველებაზე), ნიკა მელიამ. თუმცაო, უდიდეს პატივისცემას ვუდასტურებ ევროკავშირს, პერსონალურად პრეზიდენტ მიშელს, დანიელსონს, კელი დეგნანს და განსაკუთრებული მადლობა კარლ ჰარცელსო. რატო არ გადაუხდის მადლობას რა, 40 ათასი ლარი მაგათ გადაუხადეს, ციხიდანაც გამოათრიეს და ალბათ უახლოეს ხანში ყოფილ პოლიტპატიმრადაც გამოაცხადებენ. პრინციპში, ყველაფერი ისე მოაწყეს ამ ევროპიელებმა, გამოცხადებაც აღარ უნდა, თაღლითი მაიმუნი ლამის გმირად აქციეს. არა, ევროპიელებმა კი არა, მთელმა მსოფლიომ რომ იჩალიჩოს,



მელა ლომად ვერასოდეს გადაიქცევა, მაგრამ არსებობს ილუზია, რომლისაც ამ ქვეყანაში (და არა მხოლოდ ამ ქვეყანაში) ბევრს თუ არა, საკმაო ნაწილს მაინც სჯერა.

ფაქტია!

თაღლითი ნიკანორ მელია იყო და არის მიხეილ სააკაშვილის უკვე გაჭრილი კარტი... უფრო სწორად, გაცვეთილი, დახეული კარტი, ყვავის ექვსიანი, რომელიც ევროპიელებს ტუზი ეგონათ. როგორცა სჩანს, მიხვდნენ, ვისთანაც აქვთ საქმე და ბოლო დროს ამ მიმართულებით აღარ აქტიურობენ. ეტყობა, იფიქრეს, ეს რა დაგვემართა და არა მხოლოდ ესაო. აი, ასე, ჩვენ რომ ვფიქრობთ ხოლმე ხშირად.

კიეველ მიხოს რევოლუცია უნდოდა!

თავისებურად აწყობდა. მხარდა-





ჭერა არ აქვს, მაგრამ აქედან წაღებული მილიარდებიდან ამონაგებ პროცენტებს ხარჯავს, სიტუაციას მაინც ურევს. ახლა ირკვევა, თებერვალში სარფსაც კი მოსდგომია და როგორც ავი ენები ამბობენ, სავარაუდოდ, გიორგი გახარიას თუ... მის მსტოვარს შეხვედრია, თან უსტარიც გამოუტანებია, როცა განიშნებ, გადადექი, დანარჩენი კეზერაშვილმა იცისო.

ტელე „იმედმა“ „ნაცების“ შესვლასთან დაკავშირებით ვრცელი სიუჟეტი მოამზადა და ასე დაასათაურა: „ჭირვეულის მორჯულება“. ჰა, ჰა, ჰა! არანაირი ჭირვეულები ეგენი არ არიან, წინასწარ დაპროგრამებულ ჩათლახებთან გვაქვს საქმე, რომლებსაც სისხლი სწყურიათ, მაგრამ ძალა და მხარდაჭერა არ გააჩნიათ. ამ დღეებში ირაკლი კობახიძემ „რუსთავორს“ ინტერვიუ მისცა, სადაც გარკვევით თქვა, ჩვენ



ზუსტად ვიცით, გახარია ვისგან ფინანსდებაო. გადაცემის წამყვანი ჩაეძია, მაინც ვისგანო? მოვა დრო და ყველაფერი გაცხადდება, გახარია ბედნიერი ნამდვილად არ დარჩებაო. გასაგებია, საითაც უბერავს გახარიას პოლიტნიავი, ეგ არი, კეზერაა, აღარ უნდა მაგას ბევრი ლაი-ლაი. თუ გახარია დიდი ფულის სანაცვლოდ რევოლუციასა და ხელისუფლების გადაბარებაზე წავიდა, მაშინ მაგარი სულელი ყოფილა. არა, აქ არის ერთი მომენტი, შეიძლება ეს დიდი ფული იმდენია, გადადგომად და სააკაშვილისთვის თვალის ჩაპაჭუნებად რომ ღირდა, აშკარად ჩანს, ყოფილ პრემიერს ფულები ძალიან უყვარს.

საინტერესოა, ამის დედა ვატირე, ისეთი რა ცოდვები წამოვიკიდეთ საუკუნეების განმავლობაში, რომ ყოველ ორ-სამ წელიწადში, ხან ყოველწლიურად დიდი ღალატის მოწმენი ვხდებით? დიდი ღალატი იქით იყოს, ის უფრო დიდი უბედურებაა, გიგი უგულავა კორუფციაზე რომ გველაპარაკება და თანაც ყოველ საღამოს. ვააახ, კაცოოო! 50 მილიონის ქურდი გველაპარაკება კორუფციაზე! აგერ, ორიოდე დღის წინ იძახის, მე ეკლესიაში ქრისტეს სხეულს კი არ ვებრძვი, კორუფციას ვებრძვიო. გინდა, ამ დროს გაიცინო, მაგრამ ვერც იცინი, ჩვენ კი ვიცით, ვინ არი ეს დამპალი, რა გაუკეთებია, მაგრამ შეხედავენ ბალღები ტელევიზორს და მართლა პატიოსანი ეგონებათ, წამოიზრდებიან, მივლენ საარჩევნო ურნასთან და ხმას მისცემენ. გირჩი ზურაბა ეგრე არ მოხვდა პარლამენტში? რის გამკეთებელია? მეტყველება მაგას არ უვარგა, ფიზიონომია მაგას არ უვარგა, აზროვნება მაგას არ უვარგა, რამდენიმე სისულელე მოიგონა, ბოლოს შარვალი ჩაიხადა, რუსებს ტრაკი მიუშვირა და რა? წამოსვეს საკანონმდებლო ორგანოში! ვინც ამას ხმა მისცა, ნორმალურია? არა მგონია, ამ ერთმა სულელმა კიდევ სამი სულელი შეათრია პარლამენტში და სად ხდება ეს ყველაფერი? იმ ქვეყანაში, სადაც თავის დროზე მეფობდნენ დავით აღმაშენებელი და თამარი, აღარაფერს ვამბობ სხვებზე. წესით, კანონით, ადათით, ბუნების თანხმობით, ჩვენ ფიზიკურადაც უნდა გავზრდილიყავით და გონებრივადაც. კაი, ფიზიკურობას დავანებოთ



თავი, საუკუნეების განმავლობაში ტვინი რატომ არ მოგვემატა? კაი, არ მოგვემატა, ჯანდაბას, რატომ დაგვაკლდა? აი, ამაშია საქმე, რატომ დაგვაკლდა?!

ღმერთო, იქნებ შენ მაინც გაარკვიო, რატომ მოვმცირდით ყველანაირად საუკუნეების განმავლობაში და ვერ გავიზარდეთ, ველარ მოვმრავლდით? რატომ დაგვემართა ესა და არა მხოლოდ ესა?!

**გელა ზედელაშვილი**
593 56 11 18

# შეეშვით ნინოწმინდის ბავშვთა სახლს, თქვენისთანა სულბინძურების ადგილი იქ არ არის!



რამდენიმე დღეა ქვეყანა შეძრა კითხვამ:

**- რა ხდება ნინოწმინდაში?**

**ნინოწმინდაზე საუბრობს ყველა, ვინაც, არამცთუ „ბავშვთა სახლის“ პრობლემები, ზუსტად არც იცის სად მდებარეობს ნინოწმინდა!**

ბუნებრივია, აქედან ზოგი უსაქმურია, ზოგი დაქირავებული და ზოგიც სეირისმოყვარული. აქა-იქ, საქმეში ჩახედულნიც ჩანან, მაგრამ მათ არავინ უსმენს, **ფაქტია, ნინოწმინდა შემთხვევით არ არის ნიშანში ამოღებული!**

1989 წლის 19 აპრილს, მთიან აჭარაში მომხდარი წარღვნის შემდეგ, დიდი ხნით მომიწია აჭარა-ჯავახეთში გადასახლებამ და ადგილობრივი მოსახლის თვალით იმ ისტორიული სინამდვილის დანახვამ, რასაც **ექსკურსიაზე ჩასული,** ან რომელიმე **„უფლებადამცველი“** ვერასოდეს გაიგებს.



1989 წლის ზაფხული, განსაკუთრებულად უჩვეულო იყო არა მხოლოდ ქართველთა სიმრავლით მესხეთ-ჯავახეთში, არამედ იმითაც, რომ ათწლეულების შემდეგ აქ ჩამოსასვლელად, ამიერიდან, ქართველს საგანგებო საშვი არ დასჭირდებოდა და საჭირო შემთხვევაში, მოძმის თანადგომა დაუბრკოლებლად შეეძლო!

1989 წელს, აწყურის მილიციის სასაზღვრო პოსტიდან ჩვენ, „ჯავახეთის აღორძინების კომიტეტმა“ მივულოცეთ საქართველოს მოსახლეობას, პასპორტების და საშვების კონტროლის გაუქმება და სპეციალური ტელეგადაცემა მივუძღვენით მას.

1989 წლის მონაცემებით, ბოგდანოვკის ქალაქის მოსახლეობა 6944-ს შეადგენდა, აქედან მხოლოდ 5 ოჯახი იყო ქართული, სოფლებში არცერთი ქართველი არ ცხოვრობდა!

საგანგებოდ საშური იყო ჩვენთვის (სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ელვასთან“ არსებული „ჯავახეთის აღორძინების კომიტეტი“ ომარ გრიგოლაშვილის თავკაცობით) ყოველი გამონთავისუფლებული სახლის შეძენა და იქ მრავალშვილიანი ქართული ოჯახის ჩასახლება, რაც უამრავ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

ბუნებრივია, სომეხი მოსახლეობა ტაშფანდურით არ შეხვედრია ქართველების გამოჩენას ჯავახეთში, განსაკუთრებით ბოგდანოვკაში ჰქონდათ დიდი გართულება.

მიუხედავად ამისა, 1989 წლის ნოემბერში, მაინც შევიძელით პირველი ქართული სკოლის გახსნა ბოგდანოვკის ცენტრში 12 მოსწავლით და იგი იაკობ გოგებაშვილის სახელით მოინათლა.

ამის შემდეგ, ბოგდანოვკის რამდენიმე სოფელში დამკვიდრდა ქართული ოჯახები და სამებაში, ეფრემოვკაში, გორელოვკაში, სპასოვკაში ქართული სკოლებიც გაიხსნა.

**მკითხველს უნდა შევახსენო, დიდი თურქობის შემდეგ, 1989 წლამდე, ამ კუთხეში ქართული საგანმანათლებლო სასწავლებელი არ არსებულა!**

ამიტომ, ბოგდანოვკის ცენტრში ქართული სკოლის არსებობას საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა.

სოფლებისგან განსხვავებით, ნინოწმინდის ცენტრში ძნელი შესანარჩუნებელი აღმოჩნდა ქართული სკოლის არებობა, რადგან ქალაქის ტიპის დასახლებაში, ქართული ოჯახი ძნელად იკიდებდა ფეხს და საპატრიარქოს ინიციატივას (2004წ.) ნინოწმინდის ცენტრში გახსნილიყო „ბავშვთა სახლი“, დიდი სიხარულით შევხვდით ყველა ისინი, ვინაც გასული საუკუნის 90-ან წლებში ჯავახეთის აღორძინებას მივუძღვენით ჩვენი ძალები.

ჩვენს სიხარულს ისიც აორმაგებდა, რომ ამ საქმის თავკაცი, ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი ვეტერანი, სხალთის ეპისკოპოსი სპირიდონი (ერობაში გოჩა აბულაძე) იყო.

ღმრთის მადლით დაწყებული საქმე სწრაფად განვითარდა, ბავშვთა სახლი და მისი ბინადარნი მშვიდად მიიღო სომხურმა მოსახლეობამ, ნინოწმინდის სკოლას მოსწავლე არ მოჰკლებია მას შემდეგ.

რამდენჯერმე უცხოელი სტუმრებიც მყოლია ნინოწმინდის „ბავშვთა სახლში“ და აღფრთოვანებული დარჩენილან, ბავშვთა ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შემოქმედებით, ბავშვებთან ურთიერთობის და აღზრდის მეთოდების გაცნობით!

ყველაფერი ეს, ბუნებრივად, ბავშვებისთვის ოჯახური სიმყუდროვის და ქართული ტრადიციების სანიმუშო პირობებში მიმდინარეობდა, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს გაცხადდებოდა, რომ: **„ნინოწმინდის ბავშვთა სახლში ბავშვების უფლებები ირღვევა და იქ, საქართველოს სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას უწყება უნდა შევიდესო!“**

იმ წუთში თვალწინ, ე.წ. **„ბავშვთა უფლებების დამცველები“** წარმომიდგა, უმეტეს შემთხვევაში, თვითონ რომ არიან სამკურნალო და საზოგადოება რომ არის მათგან დასაცავი!

არაფერს ვაჭარბებ, ესენი დაბადებული არ იყვნენ, მე რომ იმ ქვეყნებში ვცხოვრობდი, სადაც ამათმა **„განათლება“** მიიღეს და შესანიშნავად ვიცი რა ზიანი მიაყენეს მათმა **„ტრენერებმა“** საკუთარი ქვეყნის მომავალ თაობებს, დღევანდელ ევროპას, ცხენის გავაზე ამოშანთული დაღივით რომ ასვია.

მახსენდება, გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარი, წელიწადში 5–6 თვე მიხდებოდა გერმანია-ავსტრია-შვეიცარიაში ყოფნა. ბუნებივია, ამ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს ვაკვირდებოდი და ვსწავლობდი. ჩემი ყურადღება კრიმინალურმა სტატისტიკამ მიიპყრო, რომელიც ძირითადად მცირეწლოვანებში ხდებოდა. თითქმის დაუჯერებელი იყო პედოფილია, მცირეწლოვანი გოგო-ბიჭების გაუპატიურებების სიმრავლე. მათი რაოდენობა რამდენიმე ათასს აჭარბებდა ყოველწლიურად.

ხშირად მქონია ჩემს უცხოელ კოლეგებთან საუბარი ამ თემაზე და თითქმის ყველა ერთნაირად აფასებდა შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას და ყოველივეს მიზეზს, ქვეყანაში არსებული კანონების ლიბერალიზაციასა და ყველასათვის გაუგებარ, ბავშვთა უფლებების დაცვის კანონებს მიაწერდა.

არაერთგზის შემოუჩივლიათ ჩემთვის, ბავშვისთვის ხმამაღალი სიტყვა ვერ გვითქვამს, სკოლის ასაკის შემდეგ ბავშვის აღზრდაში ჩვენ თითქმის ვერ ვმონაწილეობთ, ვისაც ჩვენი შვილების აღზრდა ავალია, ხშირ შემთხვევაში თვითონვე არიან გასაზრდელებიო!

წარმოდგენაც კი მზარავდა, რომ, რასაც მათ ტელეეკრანებზე ვხედავდი, ერთ დღეს ჩვენთანაც შემოვიდოდა!

სამწუხაროდ, დიდხანს არ დაგვჭირდა ლოდინი, ეს დღეც დადგა:

**ევრო-ამერიკაში „განათლება მიღებული“ უფლებადამცველები „გვიტრენინგებენ“ და გვიმოწმებენ ქვეყნის მომავალ თაობას, ოჯახებიდან რამე ისეთი ხომ არ გამოჰყვათ, უცხოეთში თავს რომ მოგვჭრისო!**

ძირითადად ეს: **რელიგიას, საუკუნოვან ტრადიციებს და წეს ჩვეულებებს ეხება, რომლებიც ევრო-ამერიკულ სტანდარტებში არ ჯდება!**

ვის უნდა დავუმალოთ, თუ როგორი რეპუტაციით სარგებლობს **ლომჯარია და მისი უწყება საქართველოში, განსაკუთრებით კი არაქართულ რეგიონებში (არაფერს ვამბობ ოკუპირებულ ტერიტორიებზე), სადაც დაუფარავად დაგვცინიან ლესბოსელებისა და ჰომოსექსუალების უფლებების დამცველებზე!**

არ გამომიხტეს ახლა ვინმე ნაძირალა და არ დამიწყოს მათი უფლეების შელახვაზე საუბარი, მე მათ არ ვეხები, ვსაუბრობ ფაქტზე, რომელიც სინამდვილეში არსებობს და მისი კულტივირება საგანგებოდ საშიშია!

სოცქსელში, ერთი ქალბატონის კომენტარს წავაწყდი:

**„ნინოწმინდის ბავშვთა სახლი ქართველთა გამრავლებას შეუწყობს ხელს რეგიონშიო!“**

იქვე მეორე ქალბატონი ირონიით უკომენტარებს:

**„ჩაკეტეთ ბავშვები ციხეში, გარეთ არ გამოუშვათ და გამრავლდებიანო!“**

თქვენი არ ვიცი და ამ ამბავმა, მიშა-შეურაცხადი და **„განმუხურის ბუჩქები“** გამახსენა.

გახსოვდეთ: **ქვეყანაში მომრავლებული ოჯახური კონფლიქტები, სკოლის ასაკის ბავშვებში დამკვიდრებული სისასტიკე, ადრეული სექსი და უცხო და უგვანო საქციელი ჩვენი ქვეყნისთვის უცხო აღზრდის წესების კულტივირების შედეგია!**

სწორედ ეს უნდათ დაამკვიდრონ ჩვენთანაც, **„ქალი & ქალი“** და **კაცი & და კაცი“** სიყვარულად გამოაცხადონ, ამის გასაღებს ეძებენ იქ, სადაც იგი მარტივად საპოვნი ეჩვენებათ!

**ასეთად, ამ ჯიშგამწყრალებმა, ნინოწმინდის „ბავშვთა სახლი“ მიიჩნიეს ამჯერად!**

ბავშვთა სახლი, რომელიც რამდენიმე კვირაა ქვეყნის მაოხარი ტელევიზიების მიკროფონიანი კოიოტებითაა ოკუპირებული, **ერთადერთი ქართული ბასტიონია, ნინოწმინდაში,** რაც ადვილად მოსაშთობად ჩათვალეს ლიბერასტებმა და მათმა მხარდამჭერებმა და ადვილად აიყოლიეს სოცქსელების ჭორისმოყვარულები!

ერი და ბერი უნდა ადგეს, ადამიანის უფლებათა დამცველებად და ტელეჟურნალისტებად წოდებული, ქვეყნის დამაქცევარების წინააღმდეგ, რომ ნინოწმინდის ბავშვთა სახლი ვიხსნათ, სულიერი და ხორციელი გარყვნის საშიშროებისგან!



**P.S.** ავისმოსურნეთა მიერ აგორებული, ნინოწმინდის “ბავშვთა სახლის” პრობლემა, ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილი უსერიოზულესი დანაშაულია, მისი შემოქმედების მხრიდან. ამიტომ, გასართობად და საჭორაოდ ნუ გავხდით მას!

წერეთ და იკამათეთ მხოლოდ იმათმა, ვინაც კარგად იცით სად მდებრეობს და რა დატვირთვა აქვს საქართველოსთვის ნინოწმინდას და იქ არსებულ „ბავშვთა სახლს“!

**დავით ქობალია**
598 70 86 00

# „ამათი შეშვება ბავშვთა სახლში კი არა ნებისმიერ პატიოსან ოჯახში არ შეიძლება. წაბილწავენ იქაურობას!“

- ქალბატონი ლომჯარია ნინოწმინდის კი არა ყველა იმ პანსიონის დახურვას აპირებს, სადაც ბავშვებს მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ რწმენას უნერგავენ.
- გამოიღვიძე, საქართველო, სატანისტები შვილების წართმევას გიპირებენ!
- ირაკლი იმნაიშვილო, შე ინდაურო, ვისი აგენტი ხარ და ვის დაკვეთას ასრულებ, შე თვალთმაქცო და ფარისეველო?!



ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას განცხადებით, პანსიონში მომხდარი სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ ინფორმაცია გენერალური პროკურატურიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროდან უკვე გამოითხოვეს.

„ამ დროისთვის არ ვფლობთ დეტალურ ინფორმაციას სავარაუდო (!) დანაშაულებრივი ფაქტე-



**საქართველოს პროკურატურამ დაუყოვნებლივ უნდა აღძრას საქმე ე.წ. სახალხო დამცველის ე.წ. უფლებადამცველის და ე.წ. მიუკერძოებელი ჟურნალისტის ირაკლი იმნაიშვილის წინააღმდეგ, რომლებმაც წინასწარგანზრახვით, ცილისწამებითა და ცრუ ბრალდებებით სცადეს ავტორიტეტი შეელახათ ქართული ეკლესიისთვის, ხოლო ბავშვებს თავიანთი პროვოკაციული ქმედებებით, უმძიმესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენეს.**

ბის, მასში მონაწილე პირებისა და გარემოებების შესახებ, ასევე, გატარებული და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ“, — ნათქვამია სახალხო დამცველის აპარატის განცხადებაში.

სხალთელი მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის (აბულაძე) კურთხევით, სახალხო დამცველის წარმომადგენლებს პანსიონში არ უშვებენ, არადა, შესვლის დაუყოვნებლივ უზრუნველყოფა საქართველოს ხელისუფლებას გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტმა დაავალა.

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ გაეროს დავალება სახელმწიფომ ვერ შეასრულა და პანსიონის კარი მათთვის დღემდე დახურულია.

„ძალიან სწორი იყო UNICEF-ის განცხადება, სადაც მათ აქცენტი გააკეთეს იმაზე, რომ მსგავსი დაწესებულებების არსებობა მთლიანად ეწინააღმდეგება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, რაც გაზიარებული და აღიარებული აქვს ჩვენს ქვეყანასაც“, — ამბობს ნინო ლომჯარია და დასძენს: „ჩვენ არათუ შევალთ ამ ინსტიტუტში და განვახორციელებთ მონიტორინგს, არამედ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ საქმით მივაღწევთ იმას, რომ ამ ტიპის ინსტიტუციები საერთოდ დაიხურება საქართველოში“.

ამ ისტერიულ კამპანიაში აქტიურად არის ჩართული „ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ დირექცია და თავად დირექტორი, ქალბატონი მერი მაღლაფერიძე, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი გენერალური დირექტორის ვასილ მაღლაფერიძის ქალიშვილი გახლავთ.

ცნობისთვის შეგახსენებთ, რომ ვასილ მაღლაფერიძემ თავად დაწერა განცხადება ბორდის ხელმძღვანელობიდან გათავისუფლების თაობაზე და დღეს საქართველოს ტელევიზიის I არხზე ლიტერატურულ-ისტორიული ჟანრის გადაცემების თანაწამყვანია და ტელევიზიისთვის უჩვეულო სტილით — თავზე „ბენდენით“ მოგვითხრობს საქართველოს ისტორიის ბედკრულ პერიპეტიებზე...

პანსიონის საქმეში ასევე აქტიურად არიან ჩართული, როგორც ქალბატონი ლომჯარია და ქალბატონი მაღლაფერიძე თავიანთი ინსტიტუციებით, ასევე, ვინმე, ანა აბაშიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე, რომელიც ცნობილი ქართველი ჩოგბურთელის ნიკოლოზ ბასილაშვილის ყოფილი მეუღლის ნელი დოროყაშვილის ადვოკატია ყოფილ მეუღლესთან სამართლებრივ ბრძოლაში.

კამპანიას მედიაუზრუნველყოფას უწევს „რუსთავი-2“ და მისი წამყვანი ირაკლი იმნაიშვილი.

სწორედ „რუსთავი-2“-ის ექსკლუზივი იყო პანსიონის სავარაუდო(!) სკანდალი და ირაკლი იმნაიშვილიც ავრელიუსის ფილოსოფიური სახით ჰყვებოდა ამბავს, საჩვენებელ თითს ლოყაზე იდებდა და ეს ინდაური, გაფუჭებული „სოჩიკივით“ მრავალმნიშვნელოვნად ატრიალებდა თვალებს. აშკარა იყო, ძალიან უნდოდა, ნინოწმინდაში მიმდინარე მოვლენები სწორედ სავარაუდო კი არა, დადასტურებული ყოფილიყო...

მართალს ლაპარაკობს მეუფე სპირიდონი: ამათი „შეშვება ბავშვთა სახლში კი არა, ნებისმიერ პატიოსან ოჯახში არ შეიძლება, წაბილწავენ იქაურობას“!

ქალბატონი სახალხო დამცველი კი, როგორც ვხედავთ, აპირებს მიუსაფარ ბავშვთა პანსიონების დახურვას საქართველოში, მაგრამ საინტერესოა, აქ ის მოიაზრებს თუ არა აჭარაში არსებულ თურქულ პანსიონებს, რომლებზეც საუბარიც კი არაა, არათუ მონიტორინგი.

მოგეხსენებათ, აჭარაში რამდენიმე თურქული პანსიონი ფუნქციონირებს, სადაც აჭარელ ბავშვებს, ძირითადად, ყურანს ასწავლიან. იქ, ფაქტობრივად, სრულად მიმდინარეობს ეროვნული სულის ჩაკვლა და გაქრობა ქართველ მოზარდებში. ჩვენ, ცხადია, არ დავამტკიცებთ, მოლები მორალურად და ზნეობრივად, უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ჩვენი ქრისტიანი მეუფეები და ხორციელდება თუ არა მორალური, ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობა ქართველ მოზარდებზე თურქულ პანსიონებში, მაგრამ სხვა საეჭვო ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია ის, რომ მედრესეებში ყურანის სწავლების პარალელურად, როგორც ამბობენ, ბავშვები წევრიანდებიან სხვადასხვა რადიკალურ მუსლიმურ სექტებში და სრულიად წყდებიან ეროვნულ ცნობიერებას და მენტალობას.



მაგრამ, რა ხდება, კონკრეტულად, ნინოწმინდის პანსიონში?

იმის გარდა, რომ ქალბატონი სახალხო დამცველი პანსიონში არშეშვებას სახალხო დამცველის ინსტიტუციის დაკნინებად მიიჩნევს და თავს შეურაცხყოფილად თვლის: რას მიქვია, მეუფე სკოლაში არ მიშვებსო, არის კიდევ ერთი და მთავარი მიზეზი ამ აურზაურის — ეს არის საქართველოს ეკლესიის სრული და გამანადგურებელი დისკრედიტაცია.

ყველა გამოკითხვით, ქვეყანაში ყველაზე მეტი ავტორიტეტით ეკლესია სარგებლობს და ის არსებულ სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, მიუხედავად არაერთი შტურმისა, განხეთქილებისა და რყევებისა, ყველაზე სანდოდ ითვლება. ამას ებრძვის ვიღაცის უხილავი ხელი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სოროსის ძუძუზე მიბმული გაუმაძღარი ლეკვების სახით.

ყველაზე უმეცარიც კი მიხვდება, რომ, თუ საქართველოს ეკლესიას საბოლოოდ გაუტყდება სახელი იმით, რომ, თურმე, მეუფეები და მღვდლები დახურულ პანსიონში მოზარდებზე ძალადობით იყვნენ დაკავებული, ხალხს საბოლოოდ გაუტყდება გული ეკლესიაზე და ის აღარ იქნება ნდობის და რწმენის თავშესაფარი.

როგორც ღია კარში, „სკვაზნიაკს“ რომ ეძახიან ოკუპანტის ენაზე, ისეა დღეს ჩვენი ქვეყანა — მტერს და მოყვარეს გააქვს და გამოაქვს — ზოგი მიწას ჰყიდის, ზოგი სახლ-კარს და აქედან სამუდამოდ მიდის, ზოგი სინდის-ნამუსს და გვარს, ჯიშსაც და ჩამომავლობასაც.

ნიკო ლორთქიფანიძისა არ იყოს, ყიდის ყველა ყველგან ყველაფერს — მასწავლებელიც, ექიმიც, დურგალიც, ხაბაზიც, ბიზნესმენიც და პარლამენტარიც; არავის ჩამორჩებიან ეს ჩვენი ე.წ. ჟურნალისტებიც, რომლებიც თავშეუკავებელი აღტყინებით არიან ჩართული, ამჯერად, ქართული ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნით აგორებულ სამარცხვინო მარათონში.

კარგი, დავუშვათ და მოხდა მართლა უბედურება და დამტკიცდა პანსიონში ძალადობის საშინელი ფაქტი. ამით რა, ტელევიზიებს?! რა, ამით, ქართულ საზოგადოებას და ქართულ სახელმწიფოს, თუ ის არსებობს კიდევ ჩვენი ცნობიერების მიღმა მაინც?

იმის გარდა, რომ ამ ფაქტის დამტკიცებით თავს გაიმართლებს სახალხო დამცველის აპარატი, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და რამდენიმე ტელევიზია, შედეგად მივიღებთ პანსიონის კურსდამთავრებულთა ყველა თაობის შერცხვენას და ამ ახალგაზრდების ავტორიტეტი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

არავის ებრალება ისინი...

ამჟამად პანსიონში ყველაზე პატარა აღსაზრდელი 5 წლის ყოფილა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის 5 წლის ბავშვი თავიდანვე არის დაღდასმული იმით, რომ, თითქოსდა, გარყვნილების ბუდეში ცხოვრობდა პატარაობიდანვე, ხოლო დიდები, ვინც იქ სწავლობენ, მათ, პანსიონიდან წასვლის მერე, ვიღაცამ ეჭვის თვალით უნდა შეხედოს, ანდა ამ ბავშვებმა უნდა დამალონ, რომ ნინოწმინდის პანსიონში სწავლობდნენ, თუ არა, მთელი ცხოვრება ამ სტიგმით უნდა იცხოვრონ.

ხმამაღლა რომ გაჰკივიან, სავალალო ამბავი მოხდაო, რას ეუბნებიან ბავშვთა უფლებების და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები იმ ბავშვებს, თუკი მათზე, ღმერთმა არ ჰქნას და ფიზიკურად იძალადეს, მთელი მათი ცხოვრება ვიღაცამ მორალურად უნდა იძალადოს და ამ ბავშვებს,

ჩვენი საზოგადოების მომავალ წევრებს, მუდმივად სირცხვილის გრძნობა უნდა ჰქონდეთ, სახელგატეხილი პანსიონის აღზრდილები და თავადაც სახელშერცხვენილი რომ არიან?! ესაა მათი უფლებების დაცვა?!..

საქმე კი ისაა, რომ სრულიად უსაფუძვლოდ, ვარაუდებზე დაყრდნობით, ქალბატონი ლომჯარია გაიძახის: პანსიონი უნდა დავხურო და ნინოწმინდის მსგავსი პანსიონი თუ სადმე კიდევ არის, იმათაც დავხურავო, ანუ მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ რწმენას რომ უნერგავენ ბავშვებს, ისეთ სკოლებს გავანადგურებო.

სკოლებში ხომ აკრძალეს რელიგიის სწავლება, პატრიოტიზმის ჩაგონება, წინაპრების პატივისცემა, ახლა მიადგნენ მართლმადიდებლურ პანსიონს და იქიდანაც უნდათ ამოშანთონ ღმერთი, სამშობლო, ადამიანების სიყვარული და ყველაფერი ეს ეჭვქვეშ დააყენონ, როგორც საძრახისი და საეჭვო…


ანა აბაშიძე

რწმენას და ქვეყნის სიყვარულსაც რომ თავი დავანებოთ, ამ ეკონომიკური სიდუხჭირის პერიოდში სად „ვყრით“ ამ მოზარდებს, ქუჩაში თუ ტყვეთა სყიდვის ახალ ფორმას ვამკვიდრებთ?!

ვიდეოკადრები გავრცელდა, სადაც მეუფე სპირიდონი პანსიონში შეჭრილ არასამთავრობოების წარმომადგენლებთან ერთად ელაპარაკება პანსიონის აღსაზრდელს. 8–9 წლის ბიჭი ტირის და მეუფეს ეუბნება, რომ მას არ სურს პანსიონიდან წასვლა და თუ წაიყვანენ, დედის გარდა, სხვაგან არ უნდა წასვლა.

მეუფე ურეკავს ბიჭუნას დედას:

**(ზუსტი ტრანსკრიპტი)**

მეუფე სპირიდონი: „ქალბატონო ხათუნა, ესენი აიძულებენ, წავიდეს ბავშვი პანსიონიდან და სხვაგან უნდა გადავიყვანოთო. დაელაპარაკეთ თქვენს შვილს, ქალბატონო ხათუნა“.

მეორე ბავშვიც ტირის.

მეუფე სპირიდონი: „ესეც რატომ ტირის?“

პანსიონის თანამშრომელი ქალბატონი: „ესეც გადაყავთ“.

მეუფე სპირიდონი: „რატომ ტირიხარ, შვილო?“

პანსიონის აღსაზრდელი: „დედის უფროსთან მინდა“.

აღმზრდელი ქალი: „დედამისიც პანსიონში ცხოვრობს და პანსიონის უფროსზე ამბობს“.

პანსიონის აღმზრდელი: „მერე, რატომ ტირიხარ, ბებო, რა მოხდა, მითხარი“.

ბავშვი ტირილით: „სხვაგან არ მინდა“.

მეუფე იღებს ტელეფონს და აგრძელებს საუბარს:

— „ქალბატონო ხათუნა, ჩვენ თქვენს გარეშე ბავშვი არავის არ გავატანოთ?“

ხათუნა, აღსაზრდელის დედა:

— „მე წინააღმდეგი ვარ, პანსიონის გარდა ჩემი შვილი ვინმემ სადმე წაიყვანოს. მე თვითონ ჩამოვალ თუ საჭირო იქნება. ხვალ იქნება, ზეგ იქნება, თუ, როცა იქნება, 15-დან ხომ დაითხოვთ ბავშვებს?“

მეუფე სპირიდონი: „რა თქმა უნდა“.

ქალბატონი ხათუნა: „ჩემი შვილები სამი თვით მიმყავს ჩემთან ჩვეულებრივად, თუ, ღმერთით, ყველაფერი კარგად იქნება და ღმერთის წყალობით, კარგად იქნება, ჩემი შვილები ისევ მანდ განაგრძობენ სწავლას, იმიტომ რომ, ძალიან კმაყოფილი ვარ მაქაურობის“.

მეუფე არასამთავრობოებს და პანსიონში „შემოწმებაზე“ მისულ ფსიქოლოგებს: — „ახლა მე თქვენ


ირაკლი იმნაიშვილი

გეკითხებით: დედა არის წინააღმდეგი და რა უფლებით გაგყავთ პანსიონიდან ბავშვი, ვინ მოგცათ თქვენ ამის უფლება.

მე ვეკითხები ქართველ ხალხს, შეხედეთ ამ გოგონებს (არასამთავრობოების წარმომადგენელზე ამბობს — ი.კ.), მეცოდებიან ესენი ძალიან. ბავშვების გაყვანა უნდათ, მშობელი ამბობს, არ მინდა შვილის გაყვანა, მინდა, რომ აქ იზრდებოდეს. ვკითხოთ: სად მიჰყავთ ბავშვები. შვილებს სტაცებთ მშობლებს?“

„მონიტორინგის“ მონაწილე: „ახლა ხომ არ არიან მშობლებთან?“

მეუფე: „მშობელს სტაცებთ შვილს? მშობელს უნდა, ბავშვი აქ იყოს. თქვენც გაიგონეთ… ამიტომ მე თქვენ გიცხადებთ, ეს არის ბავშვების დაყაჩაღება, რომელიც თქვენმა უწყებამ გააკეთა რამდენიმეჯერ, ყველას გვახსოვს 7-შვილიანი და 9-შვილიან ოჯახებს რომ წაართვეს შვილები. ნუ იქცევით, შვილებო, ასე. ეს არის დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე. ეს არის დანაშაული დედის და შვილის წინაშე“.

მეუფე ურეკავს სხვა მშობელს.

მშობლის პასუხი:

— „არავითარ შემთხვევაში არ გაატანოთ ბავშვები. მე რომ მდომოდა სოციალური მუშაკისთვის გამეტანებინა, თვითონ გავატანდი“.

მეუფე სპირიდონი: „აი, ახლა, წუხელ რომ 6 ბავშვი წაიყვანეს, რა ხდება, ბავშვებო, თუ იცით?“ — მიმართავს იქვე ოთახში მყოფ მოზარდ ბიჭებს.

დაახლოებით, 13–14 წლის ბიჭი:

— „ის 6 ბავშვი რომ წაიყვანეს, ეუბნებოდნენ, ექვსივე ერთად იქნებითო, როგორი პანსიონიც არის აქ, ისეთი იქნება იქაცო და ერთმანეთს ნახავთო, მაგრამ გადაანაწილეს თბილისის სხვადასხვა ადგილას, რის გამოც და-ძმები დაშორებული არიან ახლა“…


მერი მაღლაფერიძე

ამ სიუჟეტს რომ ვუყურე, ხვიჩას და გოჩას ისტორია დამიდგა თვალწინ.

ვინ იცის, ასე „გატაცებული“ ბავშვები ვის ხელში მოხვდებიან აქ, საქართველოში, თუ მის გარეთ, სადაც ოჯახს და ქვეყანას მოწყვეტას გარდა, მოსალოდნელია არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ოჯახებშიც კი ამოყონ თავი…

სწორად შენიშნა მეუფე სპირიდონმა — უგულო და უეროვნებო ადამიანები წაბილწავენ პანსიონსაც, ბავშვების სულსაც და ყველაფერსაცო.

ამას უფრთხილდებოდნენ მართლმადიდებელი მასწავლებლები და იმას ასწავლიდნენ, რაც ახლა არც ერთ სკოლაში აღარ ისწავლება — ზნეობას, ღვთის შიშს, ქვეყნის სიყვარულს…ერთ ვიდეოსიუჟეტში ნინოწმინდის პანსიონის აღსაზრდელი 6–7 წლის ქართველი ბიჭუნა კამერის წინ დგას. აჩეჩილი მაისურით, გაღეღილი საწვიმარით, ქოჩორგაბურძგნული, გვერდით უფროსი ასაკის ბიჭი უდგას და აქეზებს: მიდი, აბა, კამერის წინ თუ იტყვი. ესეც რიხიანად, თუმცა დაძაბული, ხმამაღლა ამბობს 5-სტროფიან ლექსს საქართველოზე, ბოლოს ხმას უფრო უმაღლებს და გაიძახის: „რა ლამაზი ხარ მამულო, შენი გამჩენის ჭირიმე“.


კადრი ფილმიდან „მამლუქი“

აი, ეს ხომ უნდა მოსპონ.

ეს ხომ აღარ უნდა ისმოდეს არსად და არსაიდან.

არადა, სხალთელი მეუფის პანსიონში ამ კუთხით ვიღაცებისთვის, ეტყობა, „საეჭვო“ რაღაცები ხდებოდა…

თავად მეუფე სპირიდონი კი, როგორც ჩანს, დიდი ხანია ჰყავდათ მიზანში ამოღებული, რადგან ის ხმამაღლა დაუპირისპირდა გარეჯის გაყიდვას, რიონის ხეობის დამცველებს დაუჭირა მხარი, ღიად გმობდა ლგბტ პროპაგანდას და ქართულ სულიერებაში შექმნილ დღევანდელ მდგომარეობას. როგორც ამბობენ, ის გვერდით ედგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს 90-იან წლებში, რის გამოც იმ პერიოდში დაპატიმრებულიც ყოფილა. მეუფე სპირიდონის ხელმძღვანელობით, მიუსაფარ ბავშვთა პანსიონში სულ აღზრდილა 500 ბავშვი. ცხოვრების დასაწყისში შექმნილი მძიმე წლები პატარებს გაუტარებიათ ეკლესიის მფარველობის ქვეშ სითბოში, ნორმალურ კვებაში, კეთილგანწყობაში, ისინი გადარჩენილან სასტიკ ქუჩის ცხოვრებას, მაწანწალობას, ქურდობას, გარყვნილებას და, რაც მთავარია, აღზრდილან მართლმადიდებლური მორალით. ამაზე პანსიონის არაერთმა ყოფილმა მოწაფემაც ილაპარაკა საჯაროდ, ძალდაუტანებლად სოციალურ ქსელში და ინტერნეტგვერდებზე გავრცელებულ ვიდეოებში.

სწორედ ეს არ აწყობს ლომჯარიას და ლომჯარიასნაირ ჭინკებს, ამიტომ ყველანაირი ხერხებით ცდილობენ, საზოგადოება მოწამლონ და განაწყონ ყოველივე იმ სიკეთის წინააღმდეგ, რაც ზემოთ ვთქვი.

ამასწინათ 9 შვილის დედას შვილები წაართვა იუვენალურმა იუსტიციამ — ახალმა ევროპულმა კანონმა, რომელიც, თითქოსდა, ბავშვთა უფლებებს იცავს — იმ 9-შვილიან ოჯახს ბავშვების უზრუნველყოფის საშუალება არ აქვს და ჩვენ უნდა ვუპატრონოთო. სად არიან დღეს ოჯახებიდან მოწყვეტილი ეს ბავშვები. ჩაატარა მონიტორინგი ლომჯარიამ? ან რატომ არ ატარებს „მონიტორინგს“ სახალხო დამცველის აპარატი და არასამთავრობოები ქუჩის მაწანწალა ბავშვებთან, რომლებიც სად იზრდებიან, სად სძინავთ და სად ათენებენ ღამეებს, არავინ იცის? მათზე ვინმე თუ ძალადობს, ეს არაა საინტერესო და მართლმადიდებლურ პანსიონში ცხოვრება აპრიორი სავარაუდო ძალადობას ნიშნავს?!

მოკლედ, კითხვები ბევრია და პასუხები, სამწუხაროდ, ცოტა, მაგრამ ამ მიეთმოეთში და აურზაურში, რაც ხდება, კონკრეტულად, პანსიონის გარშემო, ყველაზე ცუდი არის ის, რომ სახელი გაგვიტყდა და ეს სახელი გაგვიტეხეს თვითონ ჩვენმა თანამემამულეებმა — გარყვნილების ბუდედ იქცა მირონმდინარე ხატების სავანე, უდიდესი სიწმინდისა და ისტორიის ქართული ეკლესიაო. არა მხოლოდ ქართული საზოგადოება, სასულიერო პირებიც კი მორალური დაცემის ბინძურ ჭაობში ყურყუმალაობენო.


ელენე ბერიძე:
**„ჩვენ აქ გავიზარდეთ და შეურაცხყოფას გვაყენებენ ტელევიზიები“**

თავი შევირცხვინეთ მეზობლებში და მეგობრებშიც, ჩვენს ე.წ. სტრატეგიულ და არასტრატეგიულ პარტნიორებში და ეს სირცხვილი მხოლოდ ავტორიტეტის საკითხი არაა — მორალურად გახრწნილ საზოგადოებას, ქვეყანას და ხალხს როგორ უნდა ელაპარაკო და როგორ უნდა მოექცე?! უავტორიტეტო, დაცემულ კაცს რომ უყურებენ, ისე შემოგვხედავენ აწი და გადაფურთხება ვისაც მოუნდება, აქეთ გამოიშვერს პირს.

მოკლედ, როგორც ნათქვამია, მტერი იმდენს ვერ გაგიკეთებს, რამდენსაც შინაურიო.

აჰა, საბოლოო სისხლის წვეთებს უწურავენ საქართველოს ლომჯარიები, იმნაიშვილები და აბაშიძეები, ეს სისხლით არაქართველები და საქართველო გდია ლაფში, როგორც წიქარა ხარი ყელგამოღადრული და დამცირებული.

ერთი ეკლესიაღა იდგა და დგას საქართველოს სახელით ჩვენს საყვარელ მამულში. სწორედ ეკლესია იყო, რაც ვერ დააქციეს 30-წლიანი ბრძოლით შინაურმა და გარეშე მტრებმა და ახლა თუ ლიბერასტების ხელით ჩვენი ეკლესია, ჩვენი ეროვნულობის საყრდენი, ჩვენი ერთადერთი გადარჩენა განადგურდება და ხერხემალში გადატყდება, მაშინ, ღმერთმა არ ინებოს და, მორჩენილია ყველაფერი.

სამი პოსტულატიდან — ენა, მამული და სარწმუნოება, სარწმუნოებაღა გვქონდა შერჩენილი და ამასაც შეესივნენ არაერთხელ და ახლა გენერალურად გლეჯენ ძირფესვიანად.

სხალთელმა მთავარეპისკოპოსმა იქადაგა ორი დღის წინ და ასეთი სიტყვები თქვა: „ძალიან უნდათ საქართველოს განადგურება, მაგრამ ვერ ეღირსებიან, ღვთისმშობელი იფარავს თავის მიწას, აქ იესომ უნდა დაიდგას ტახტი და ღვთის მეოხებით ჩვენს განადგურებას ვერ ეღირსებიან. თუმცა წინ დიდი ბრძოლები გველისო“.

სულის მტაცებლები შემოგვესივნენ, თანამემამულენო, და ქრისტესთვის ვდგეთ მყარად და შეურყევლად!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# კაი ყმა

## რაც უფრო მეტი ალუდა ღუდუშაური ეყოლება „ქართულ ოცნებას“, მით უფრო კარგი საქართველოსთვის

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებაში“ ბევრი ახალი საინტერესო სახე გამოჩნდა, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა ალუდა ღუდუშაური.

ბატონმა ალუდამ ჩემი ყურადღება პირველად თავისი სახელით მიიქცია, რომელსაც უცაბედად გადაჰყავხარ ვაჟა-ფშაველას მისტიკურ სამყაროში და აუცილებლად გაგახსენებს ამ სტრიქონებს:

„ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი.
საფიხვნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი“.

ბატონი ალუდა არ არის ქეთელაური, მაგრამ არანაკლებ სახელიანი გვარის წარმომადგენელია, რომელმაც ბევრი ღირსეული შვილი აღუზარდა საქართველოს.

ალუდა ღუდუშაურს რომ უსმენ, რწმუნდები, რომ ისიც, თავის სეხნიასავით, დავლათიანი კაცია, სიტყვაც გზიანი მაუდის და, თუ საჭირო გახდება, ფხიან „ფრანგულსაც“ ვაჟკაცურად მოიქნევს.

ბატონი ალუდას ბევრი გამოსვლა ვნახე, ბევრ დებატსა და დისკუსიას ვუსმინე მისი მონაწილეობით. ის ნამდვილად გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით, პროფესიონალიზმით, პრინციპულობით და, რაც მთავარია, მის საუბარს რომ უსმენ, ხვდები, რომ ეს არის კაცი, რომელსაც ღირსების გრძნობა გააჩნია.

ნამდვილი ქართველია ბატონი ალუდა ღუდუშაური, არა მარტო თავისი გარეგნობით, არამედ თავისი ხასიათით, თავდაჭერილობით, მოზომილი სიტყვა-პასუხით, სიდარბაისლით.

– ნამდვილი ქართველი რას ნიშნავს? ქართველები არ ვართ ყველა? – შემომეპასუხებიან, ალბათ, ვიღაც-ვიღაცები.

სამწუხაროდ, დრო დადგა ისეთი, რომ შეიძლება ადამიანს სახელიც ქართული ჰქონდეს, გვარიც, ეროვნებითაც ქართველი იყოს, მაგრამ მაინც არ ჰგავდეს ქართველს თავისი საქციელით.

ფალსიფიცირებულ ქართველებს ვეძახი მე ამისთანებს და, ვაი, რომ ასეთი ფალსიფიცირებული ქართველები ძალიან მომრავლდნენ საქართველოში, განსაკუთრებით – პოლიტიკაში.

ქართველი კაცი სახალხოდ, საჯაროდ ჭორიკნობას რომ დაიწყებს, ქართველი კაცი ოპონენტს დედაკაცივით რომ დასწყევლის და ქოქოლას მიაყრის, ქართველი კაცი მეტოქეს და მოწინააღმდეგეს ცილს რომ დასწამებს, გალანძღავს, ათას სისაძაგლეს დააბრალებს, ასეთ კაცს ქართველი არ ეთქმის – ის გადაგვარებულია, გადაჯიშებულია, გადაკეთებულია, ოღონდ ის ამას თვითონ ვერ ხვდება და ვერ გრძნობს.

ქართველმა კაცმა სიყვარულიც იცოდა, მეგობრობაც, მაგრამ ასევე იცოდა მტრობაც, ოღონდ ამ მტრობას თავისი წესი და ურთიერთობის კოდექსი ჰქონდა, საიდანაც გადახვევა დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

ქართველი კაცი თავის მტერზე აუგს არ იტყოდა – არ დააკნინებდა, არ დაამცირებდა, რადგან თვლიდა, რომ მტრის დაკნინება საკუთარი თავის დაკნინებასაც ნიშნავდა.

„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“.

მერე რა, რომ მტერია – კარგი ვაჟკაცის მტერიც კარგი ვაჟკაცია, ცუდის კიდევ მასავით ცუდი – ასეთი იყო ქართველი კაცის ფილოსოფია, რომელიც დღეს ბევრისთვის შეიძლება უცხო და გაუგებარი იყოს.

ალუდა ღუდუშაური როცა „ქართული ოცნების“ „მტრებზე“, ანუ ოპონენტებზე ლაპარაკობს, ლაპარაკობს პრინციპულად, მკაცრად, მაგრამ კორექტულად, სამართლიანად, დასაბუთებულად.



საქართველოს აქვს თავისი სახელმწიფო კონსტიტუცია, მაგრამ მას ა ქვს მეორე, დაუწერელი კონსტიტუციაც. ეს ის კონსტიტუციაა, რომელსაც ერი თავისი არსებობის მანძილზე ქმნიდა თავისი გამოცდილების, თავისი ზნისა და ხასიათის, თავისი იდენტობის შესაბამისად.

ერი, როცა ამ კონსტიტუციას გადაუხვევს, როცა ამ კონსტიტუციას ივიწყებს და შორდება, ის შორდება საკუთარ თავს, ნელ-ნელა წყდება საკუთარ ფესვებს და საკუთარ იდენტობას, რაც, ფაქტობრივად, გაქრობის და გადაშენების საგანგაშო სიმპტომებია.

სამწუხაროდ, ამ რთულ ეპოქაში, საქართველოც არ არის დაზღვეული, ნელ-ნელა დაკარგოს თავისი იდენტობა და განუმეორებელი თავისთავადობა, სხვის ტყავში შესული კი ნელ-ნელა გაქრეს და გაუჩინარდეს გლობალიზაციის მღვრიე ოკეანეში.

ცესი, ხოლო ის უწყვეტი შტურმი, რაც „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის, მისამართით ხორციელდებოდა, ეს იყო ნამდვილი პოლიტიკური დევნა, რომელიც დღემდე გრძელდება.

„ნაცმოძრაობისგან“ განსხვავებით, რომელმაც გაანიავა, გაასხვისა, გაყიდა საქართველო და უკან 20%-ით დაპატარავებული და შეკვეცილი ქვეყანა დაგვიბრუნა, „ქართულ ოცნებას“ არაფერი დაუკარგავს, არაფერი დაუთმია, არაფერი გაუყიდია, არაფერი გაუჩუქებია.

მიუხედავად ამისა, შანტაჟი და ზეწოლა „ქართული ოცნების“ მისამართით გრძელდება და სულ უფრო და უფრო მახინჯ ფორმებს იღებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სავალდებულო ნორმად დაწესებული 43% ვერ აიღოს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს, თითქოს თვითმმართველობის არჩევნები და საპარლამენტო არჩევნები რაიმე კავშირში იყოს ერთმანეთთან.

ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ უნდა გამოიჩინოს წინდახედულება, გამბედაობა, სიმამაცე და არ უნდა დაუშვას იმ მზაკვრული სცენარის განხორციელება, რომელიც ქვეყანას ახლო მომავალში დიდ განსაცდელს გადაჰყრის.

ამ ძნელბედობის ჟამს სერიოზული როლის შესრულება შეუძლიათ ალუდა ღუდუშაურისნაირ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ „ქართული ოცნების“ კი არა, ქართული სახელმწიფოს ინტერესებს დაიცავენ თავიანთი პრინციპულობით, პირდაპირობით, გნებავთ, ვაჟკაცობით.

რაც უფრო მეტი ალუდა ღუდუშაური ეყოლება „ქართულ ოცნებას“ მით უფრო კარგი საქართველოსთვის...

ალუდა ღუდუშაურის მსგავს ქართველებს რომ ვხედავ, გული იმედით მევსება – იქნებ, გავუძლოთ ამ ქარტეხილებს, იქნებ, გავაღწიოთ სამშვიდობოზე?

კიდევ ერთი კარგი თვისება, რაც ამ ადამიანში მომწონს – ის როცა საუბრობს, არ იზღუდება მხოლოდ ვიწრო პარტიული ჩარჩოებით და მხოლოდ თავის „ქართულ ოცნებას“ კი არ იცავს, არამედ ამ საუბრის მიღმა, მის კვეტექსტში ყოველთვის იგულისხმება ქართული სახელმწიფოს ინტერესები.

რადგან „ქართულ ოცნებაზე“ ჩამოვარდა სიტყვა, ერთსაც ვიტყვი და ამით დავამთავრებ: „ქართული ოცნება“ არ არის პოლიტიკოსთა რომელიღაც ჯგუფის პარტიული საკუთრება, ის ბიძინა ივანიშვილთან ერთად ქართველმა ხალხმა დააფუძნა და თუ ვინმეს ეკუთვნის იგი, პირველყოვლისა, ეკუთვნის ქართველ ხალხს.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, არც ერთი სახელისუფლო პარტია არ ყოფილა ისეთი წნეხისა და ზეწოლის ქვეშ, ქვეყნის შიგნიდან თუ ქვეყნის გარედან, როგორც „ქართული ოცნება“.

მას უამრავ ხელოვნურ დაბრკოლებას უქმნიდნენ, რომ როგორმე შეეფერხებინათ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პრო-



**ვახტანგ ხარჩილავა**

# მსოფლიოს დიდი შეხვედრების ცხელი ზაფხული ელის

ამ კვირაში დაიწყება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ოფიციალური ვიზიტები ევროპაში. მართალია, ჯო ბაიდენი თავის პირველ ოფიციალურ ვიზიტებს თანამდებობაზე არჩევიდან 4 თვის შემდეგ ახორციელებს, მაგრამ ამას თავისი ობიექტური მიზეზი აქვს — მსოფლიოში გრძელდება პანდემიის ბობოქრობა და სანიტარული უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ყველა ქვეყნის მეთაური თავს იკავებს ვიზიტებისგან. ჯო ბაიდენისთვის ევროპაში პირველი ვიზიტი, პოლიტიკური თვალსაზრისით, იოლი ნამდვილად არ იქნება.

თავდაპირველად ჯო ბაიდენი ლონდონში ჩავა, სადაც „დიდი შვიდეულის" ქვეყნების მეთაურთა სამიტი გაიმართება. ტრადიციულად, G-7-ის მეთაურთა შეხვედრის დღის წესრიგი წინასწარ, საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტზე განისაზღვრება. დიპლომატების წლევანდელ შეხვედრას ერთი თვის წინათ ასევე ლონდონი მასპინძლობდა. ძირითადი ყურადღება მინისტრებმა რუსეთისა და ჩინეთის შეკავების მეთოდების შემუშავებას დაუთმეს. ისაუბრეს პანდემიასთან ბრძოლაზე და გადაწყვეტილებაც მიიღეს — „კოვიდ-19"-ის ვაქცინების წარმოებაზე მოეხსნათ პატენტის დაცვის მექანიზმი. ბრიტანეთში დიპლომატების G-7 სტუმრების სტატუსით იყვნენ მიწვეულები ინდოეთის, სამხრეთ კორეის და ავსტრალიის წარმომადგენლები. ლონდონში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა გერმანელ კოლეგას ხაიკო მაასს მოსთხოვა გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2"-ზე უარის თქმა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო.



დღევანდელი სიტუაცია განსხვავებულია. ჯო ბაიდენმა უარი თქვა გაზსადენის მშენებელი კორპორაციებისთვის სანქციების დაწესებაზე, რაც თითქმის გადაწყვეტილი იყო. G-7-ის მეთაურთა შეხვედრაზე ახლაც მიიწვევენ თუ არა იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც დიპლომატებთან იყვნენ. როგორც ვხედავთ, G-7-ის მეთაურთა სამიტის დღის წესრიგი უცნობია.

ლონდონიდან ჯო ბაიდენი ბრიუსელში გაემგზავრება, სადაც ნატოს სამიტში მიიღებს მონაწილეობას. განსჯისთვის — ღონისძიებას საქართველო და უკრაინაც უნდა დასწრებოდნენ, მაგრამ ჯო ბაიდენმა უარი თქვა, მიეწვიათ სამიტზე კანდიდატი ქვეყნები. ალიანსის სამიტზე მოსალოდნელია ხმაურიანი განცხადებები. აპრილში ჯო ბაიდენმა აღიარა 1915 წლის ოსმალეთის მიერ სომხების გენოციდი. მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს აშშ-ის ელჩი, დროებით შეაჩერეს მუშაობა აშშ-ის საელჩომ და საკონსულოებმა... თურქეთის პრესა არ გამორიცხავდა, ქვეყანას უარი ეთქვა ნატოს სამიტში მონაწილეობაზე. გავრცელდა სხვა მოსაზრებაც — სწორედ ნატოს სამიტზე აპირებს თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი მოსთხოვოს ჯო ბაიდენს განმარტება გენოციდის აღიარებაზე. თუმცა ჯერ არც ნატოს სამიტის დღის წესრიგია ცნობილი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ალიანსში.

დამაფიქრებელია აშშ-ში არსებული ვითარება. „ფასეულობების ომად" მიაჩნიათ ამერიკელ ექსპერტებს ქვეყანაში არსებული სიტუაცია. ასეთი შეფასების საფუძველს მათ ჯო ბაიდენის განცხადებები აძლევთ. გასულ კვირას ბაიდენი ოკლაჰომას შტატის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქს სტუმრობდა, სადაც შავკანიანი მოსახლეობის მასობრივი დახოცვის 100 წლისთავს დაესწრო (1921 წელს ოკლაჰომას შტატში მოხდა შავკანიანი მოსახლეობის ამბოხი, რომელიც ხელისუფლებამ ჯარის გამოყენებით ჩაახშო. დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა დღემდე უცნობია). იგი პირველი პრეზიდენტია, რომელიც აღნიშნულ ღონისძიებას დაესწრო. თავის გამოსვლაში ქვეყნის სასიკვდილო საფრთხედ არა ტერორიზმი, არამედ „თეთრი რასიზმი" დად „თეთრი რასისტები" დაასახელა, რომელიც, თურმე, ჯერ არ არის დამარცხებული. უცნაური შემთხვევა მოხდაოკლაჰომას შტატში პრეზიდენტის გამოსვლის დროს. ბაიდენმა მოულოდნელად შეწყვიტა სიტყვა, ჩავიდა სცენიდან, შუა დარბაზში მსხდომებთან მივიდა... გაირკვა, რომ 5 წლის ტყუპი დები (თეთრკანიანები) დაუნახავს და ბავშვების დედის თქმით, 5–5 დოლარი უჩუქებია ნაყინისთვის. ამის შემდეგ განაგრძო გამოსვლა.



ექსპერტების შეფასებით, დღევანდელი აშშ გაცილებით ავტორიტარულია, ვიდრე ყოფილი საბჭოეთი არსებობის ბოლო წლებში. უკვე 6 თვეა, ვაშინგტონში ფედერალური ჯარი დგას, რომელიც კაპიტოლიუმის შენობას და სხვა დაწესებულებებს იცავს. აშშ-ის ისტორიაში მსგავსი რამ ას წელზე მეტია, არ ყოფილა. პრესაში ვრცელდება ინფორმაციები — კაპიტოლიუმის შენობაში შეჭრის ბრალდებით დაკავებულებზე ხორციელდება ფიზიკური ზეწოლა. ერთ-ერთს ცემის დროს თვალიც ამოთხარეს... კრიმინოგენური სიტუაცია აშშ-ში განსაკუთრებით მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანიას" აღმოცენების შემდეგ გაუარესდა. ცალკეულ ქალაქებში პოლიციელებს ეშინიათ ქუჩაში ფორმით სიარული. სამაგიეროდ, ძალაუფლება გაურკვეველი წარმომავლობის შეიარაღებულმა პირებმა ჩაიგდეს ხელში. კონსერვატორული შეხედულების მოსახლეობა უკმაყოფილოა და დემოკრატიული პარტია კარგავს მომხრეებს.

მიუხედავად იმისა, რომ დათქმულია შეხვედრის ადგილი და დრო რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან, ცალკეულ პოლიტოლოგებს საეჭვოდ მიაჩნიათ სამიტის გამართვა. თუმცა პრეზიდენტები ჯერ არ აძლევენ მათ პესიმიზმის საფუძველს. ინტრიგად კვლავ დღის წესრიგი რჩება. უცნობია ბაიდენ-პუტინის შეხვედრისას განსახილველი თემები. აშშ-ის მხარე წინა პლანზე ადამიანის უფლებების საკითხის დაყენებას გეგმავს. ბაიდენმა გასულ შაბათს განაცხადა: „...ყველაფერს გავაკეთებ, რომ რუსეთს საქმე გავურთულო ჩვენს არჩევნებში ჩარევის გამო, ჟენევაში დავაყენებ ამის შესახებ საკითხს და ასევე, ადამიანის უფლებების დარღვევებზე".

რუსეთის მხარე ჟენევაში რამდენიმე საკითხის განხილვას გეგმავს — ორმხრივი ურთიერთობა, ეკოლოგია, საერთაშორისო ვითარება, პანდემია... რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, თუ ამერიკული მხარე ადამიანის უფლებებს წამოწევს, იმ შემთხვევაში რუსეთი დაინტერესდება 6 იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულებით. ამაზე თეთრი სახლის პრესსამსახურის უფროსმა ჯენ ფსაკიმ ბრიფინგზე უპასუხა, „...ჩვენთვის რუსეთის მხრიდან დემოკრატიაზე საუბარი მიუღებელიაო". პოლიტოლოგების ვარაუდით, ჟენევაში დადგება საკითხი გავლენის სფეროებზე. რუსეთი ბოლო პერიოდში თავისი გავლენის სფეროს ფარგლებში ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიას ასახელებს. ექსპერტების შეფასებით, ამიტომაც არ მიიწვიეს უკრაინა და საქართველო ნატოს სამიტზე, ანგარიში გაუწიეს აშშ-სო.

პანდემიის გამო სანკტ-პეტერბურგის ტრადიციული საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი შარშან არ ჩატარდა. წლევანდელმა კი გასულ კვირას სენსაციურად ჩაიარა. ცნობილი გახდა, რომ რუსეთი ქვეყნის სავალუტო-სარეზერვო ფონდის დაგროვების სისტემიდან ეტაპობრივად, ერთ თვეში ამოიღებს აშშ-ის დოლარს. პუტინის შეფასებით: „...გვაიძულებენ, უარი ვთქვათ ამერიკულ დოლარზე, რადგან აშშ-ის ადმინისტრაციამ მსოფლიოს სარეზერვო ვალუტა, დოლარი სანქციების ინსტრუმენტად აქცია". როგორც გაირკვა, დოლარს რუსეთიდან სრულად არ გააძევებენ. პუტინმა ფორუმზე გამოსვლისას ასევე განაცხადა, რომ გაზსადენ „ჩრდილოეთი ნაკადი-2"-ის ერთი ხაზის მშენებლობა უკვე დასრულდა, მეორე — დამამთავრებელ ფაზაშია. როდის დაიტვირთება მილსადენი ბუნებრივი აირით, პუტინის თქმით, გერმანიის მხარეზეა დამოკიდებული. ავსტრიის კანცლერი სებასტიან კურცი მიესალმა გაზსადენის პირველი ხაზის მშენებლობის დასრულებას. ცნობა მშენებლობის დასრულებაზე მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან ექსპერტები წლის ბოლოს ელოდებოდნენ მის დამთავრებას.

დონალდ ტრამპი კრიტიკას არ აკლებს ჯო ბაიდენს. ჩრდილოეთ კაროლინაში რესპუბლიკური პარტიის აქტივის შეკრებაზე კვლავ შეუტია მეტოქეს: „...მე აღვადგინე ჩვენი ნავთობსადენი, მან (ბაიდენმა) კი დაანგრია, სამაგიეროდ, ხელი შეუწყო რუსეთის გაზსადენის აშენებას, რომელსაც მე ვბლოკავდი". ტრამპის განცხადებით, ჩინეთმა მსოფლიოს 10 ტრილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს „კოვიდის" გავრცელებისთვის კომპენსაციის სახით. ბაიდენი ნაწილობრივ იზიარებს წინამორბედის აზრს — სპეცსამსახურებს მისცა დავალება, გამოიკვლიონ, ვირუსი ხელოვნურია თუ არა და საიდან გავრცელდა. თავის მხრივ, ჩინელები ბრალდებას ქვეყანაზე ზეწოლად აფასებენ და ითხოვენ, გამოიკვლიონ — რატომ მოხდა 2019 წლის ზაფხულში ვირჯინიის შტატში ვირუსის აფეთქება და რატომ დაუმალეს მსოფლიოს.

გამართლდა ჟურნალისტების ვარაუდები, რომ ბელორუსის ოპოზიციაში განხეთქილებაა. გაირკვა, რომ სოციალურ ქსელებში ინფორმაცია პროტასევიჩის დაკავებაზე ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა, როდესაც მგზავრების საბუთების შემოწმება დაიწყო. ახლა რეალურია, რომ თავად ოპოზიციამ აცნობა ბელორუსის უშიშროებას პროტასევიჩის ბორტზე ყოფნა. თვითონ პროტასევიჩიც უკვე ყოფილ თანამებრძოლებს ადანაშაულებს მის დაკავებაში. კერძოდ, პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატ სვეტლანა ტიხონოვსკაიას და მთავარ იდეოლოგს, ვინმე ფრანაკ ვიჩორკას, რადგან მხოლოდ მათ იცოდნენ, რომელი რეისით უნდა გამგზავრებულიყო ვილნიუსში. განაწყენებული პროტასევიჩი გამოძიებასთან აქტიურად თანამშრომლობს, რაც გავრცელებული კადრებიდან კარგად ჩანს.







გია ბურდული
551 71 27 07

# გზა, რომელსაც ლევან ვასაძე გვთავაზობს, არის ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანის ერთადერთი გზა

*გვესაუბრება პოლიტიკის ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე:*

**— ბატონო სოსო, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ბიზნესმენი ლევან ვასაძე, რომლის გუნდში თქვენც გიხილეთ. როგორ გგონიათ, გამოგყვებათ ამომრჩეველი?**

— ბევრი ცნობადი და არაცნობადი ადამიანი არის ჩვენს მოძრაობაში, ბევრი სხვა, უბრალო მოქალაქეებიც, რომლებიც ხვდებიან, რომ ასე გაგრძელება უკვე აღარ შეიძლება. ჩვენ ვკარგავთ ქვეყანას.

საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდევნილია საღი აზრი, განათლება, წესიერება, პატრიოტიზმი, რწმენა და წინ არიან წამოწეული ადამიანური მანკიერების ეტალონები და საქართველო დღეს არის მსოფლიო ბოროტების ერთ-ერთი ცენტრი დედაქალაქით თბილისში.

სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ თავისი რანგით, აქ კონცენტრირებული ულტრალიბერალური ძალები ერთიანდებიან თბილისში. აქედან ხდება იდეების მიწოდება გეოპოლიტიკური ცენტრებისთვის არა მხოლოდ რეგიონში, არამედ უფრო ფართო მასშტაბითაც.

სხვათა შორის, თავის დროზე ტროცკიზმის მთავარი საყრდენი საქართველო იყო.

მედიასივრცის სრული დომინაცია და ოპოზიციური ტრენდების ერთიანობა საერთო იდეოლოგიას ატარებს, როგორც თავის დროზე ბოლშევიკები და მენშევიკები და რომ საქართველოს გავლილი აქვს ეს გზა — უბნელესი საუკუნეები გამოვიარეთ.

დონალდ რეიფილდი, რომელმაც საქართველოს ისტორია დაწერა, ასეთ ფრაზას ამბობს: ამ პერიოდიდან, იგულისხმება 1565–75 წლები, საქართველოში იწყება განუწყვეტელი სამოქალაქო ომები, რომლის შესწავლისას ერთი ნუგეშიღა გრჩება — რომ იმ დროს ჩვენ იქ არ ვიყავითო...

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დაწყებული, გეოპოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ აქ დომინაცია სურს ამერიკულ ალიანსს, ხდება კულტურული ზეწოლა, რათა აღმოიფხვრას რუსული კულტურის გავლენა, რომელიც იმ შავ-ბნელი მე-16-მე-17 საუკუნეების შემდეგ შემოვიდა საქართველოში და შეეშველა, გარკვეულწილად, ჩვენს ქვეყანას და ქართულ კულტურას.

იყო მცდელობები, ჩანაცვლებულიყო ეს ამერიკული კულტურით, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან ეპოქის თავისებურებების გარდა, ეს, თავისთავად, ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია.

მივიღეთ ვაკუუმი; თაობები, რომლებსაც არავითარი პოზიციონირება არ აქვთ მსოფლიოსთან.

ადამიანმა სახელმწიფო რომ ააშენოს, სახელმწიფოს სათავეში უნდა იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ფართო მასშტაბებით აზროვნებენ და საკითხს უდგებიან არა ისე, მე რა სარგებელი მექნებაო, არამედ სახელმწიფოებრივად.

ტექნიკურ პროგრესს თავს მოეხვია სრულიად ეგოისტური და უზნეო ადამიანების ჯგუფი, რომლებიც ამ მიღწევებს იყენებენ იმისთვის, რომ დაამყარონ ტოტალური მმართველობა მსოფლიოზე მახინჯი ფორმებით.

საქართველო ამ მმართველობის ერთ-ერთი მსხვერპლია და ჩვენ ვხედავთ შედეგებს.

**— შინაურობაში დავბრუნდეთ — ყოფილმა პრემიერმა გიორგი გახარიამ პარტიის პრეზენტაციაზე თქვა, ჩვენი მტერი არის კორუფცია და ნეპოტიზმიო.**

— გაოცებული დავრჩი. ყურებს არ ვუჯერებდი, რომ ვუსმენდი.

შეიძლება გახარიას მიაჩნია, რომ ხალხი იდიოტია, მაგრამ ყველა ხომ იდიოტი არაა?! ტყუილების დოზებს თუ ვერ არჩევ, უკაცრავად და, თვითონ გამოდიხარ იდიოტი.

ყოფილმა პრემიერმა ისიც თქვა, რომ არ ახსოვს, როგორ მოაწერა ხელი ნამოხვანჰესის ხელშეკრულებას, კორუფცია, ნეპოტიზმი და ასე შემდეგ.

საქმე ის არის, რომ ყველაფერი ინერციით მიდის. 2012 წლიდან „ქართულმა ოცნებამ“ გააგრძელა სააკაშვილის გზა და გაამყარა საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი, გააუქმა პრეზიდენტის ინსტიტუტი და დატოვეს ის მხოლოდ ცერემონიალურ ფუნქციებში, დატოვეს „ნაცმოძრაობის“ ჰიმნი, დროშა და იგივე ნარატივი. ეს იყო მითითება გარედან, კოჰაბიტაციის ნიღბით, რითაც შეი-





ჩვენ გვყავნან ისეთი „სახელოვანი“, ვეტერანი ულტრალიბერალები, როგორებიც არიან, ლევან რამიშვილი, გიგა ბოკერია, ხიდაშელი, ბერძენიშვილები და სხვანი მრავალნი.

**— ლევან ვასაძის პოლიტიკურ მოძრაობას დავუბრუნდეთ.**

— ჩვენ გვინდა, შევაჩეროთ ეს პროცესი საქართველოში, გავწიოთ წინააღმდეგობა და შევაფერხოთ ქვეყნის უკუღმა ტრიალი.

ჩინელების თქმის არ იყოს, „ძვლებამდეა დასული ავადმყოფობა“, ისეთი სიტუაციაა დღეს საქართველოში და თავგანწირული ბრძოლაა ამისთვის საჭირო.

ამასთანავე, საქმე ის არის, ეს გულისხმობს კორუფციასთან ბრძოლას, სახელმწიფო აპარატის მაქსიმალურად ეფექტურად მოწყობას, კლანების ზეგავლენებისგან გათავისუფლებას და ა. შ.

**— ეს თეორიებია...**

— არ არის თეორია. ეს განხორციელდა, მაგალითად, სინგაპურში, კორეაში, რაღა შორს მივდივართ, თურქეთში, ისრაელში, ბელორუსშიც.

ამ ქვეყნებმა მოახერხეს გლობალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ წასვლა.

ჩვენთვის ყველა ის ძალა, რომლებიც გლობალიზმს ებრძვიან იმ სახით, რომლითაც ის ჩამოყალიბდა, კაცობრიობის მეცნიე-

ნარჩუნეს 90-იანი წლების დღის წესრიგი საქართველოში.

**— „ერთობა, რაობა, იმედი“ რას აპირებს ამ მიმართულებით?**

— ვაპირებთ განსხვავებული მმართველობის განსხვავებული ფორმები შევთავაზოთ საქართველოს მოსახლეობას. მართალია, წინააღმდეგიობები იქნება, მაგრამ გვჯერა, რომ ქვეყანა დაღუპვას გადარჩება.

ეს გზა არის, პირველ რიგში, დამღუპველი გეოპოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლა, ხალხისთვის რეალური ინფორმაციის მიწოდება იმისთვის, რა მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენ და თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება გაგვგლიჯონ გეოპოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა.

მოლაპარაკებების დაწყება რუსეთთან ოთხმხრივ ფორმატში აუცილებელია. არ ვაპირებთ დაპირისპირებებს და კონფრონტაციას — ხალხს უნდა განვუმარტოთ, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

ზემოთაც აღვნიშნე და კიდევ გავიმეორებ: ანალოგიური სიტუაცია იყო მე-16 საუკუნეში საქართველოში, როცა საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართველები ნადირობდნენ ერთმანეთზე ტყვეების თურქეთში გასაყიდად. მანკიერი პოლიტიკური ელიტა ყიდდა ქვეყნის ინტერესებს, რომ პირადი მანკიერი სურვილები დაეკმაყოფილებინა. ყოველივე ეს ფიტავდა და აშრობდა ქვეყნის სასიცოცხლო ძალებს, რის გამოც აბსოლუტურად დანგრეული იყო ქვეყანა კულტურულ-სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ დონეზე.

ახლაც თითქოს შემოკლებულ ტემპში გავიარეთ ის სამი საუკუნე და დამოუკიდებლობის მოპოვებიდან კვლავ დავუბრუნდით მე-16-მე-17 საუკუნეს — ახლაც ვყიდით მონებად ჩვენს დედებს, დებს, შვილებს. ზოგი საკუთარი ნებით ესყიდება მყიდველს, მაგრამ ტყვეთა სყიდვა იგივე ფორმით რომ დაიწყოს, ისევ ჩაერთვება მთელი სისტემა ამ პროცესში...

მაგალითად, ის, რაც მოხდა ახლახან, კონკრეტულად, დმანისში, არის პერმანენტული ხასიათის და საჭიროა მუდმივი მუშაობა ამაზე. ვინ როდის წაუკიდებს იქ პატრუქს ცეცხლს, არავინ იცის. ამას სჭირდება სერიოზული მუშაობა. ჩვენი მოძრაობა ამ საკითხებს განიხილავს და ვიცით, რა, როგორ უნდა გაკეთდეს.

სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხები თუ არ გადაწყდა, არავითარი ეკონომიკური და სხვა მიმართულების სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები ვერ გადაიჭრება.

განსაკუთრებით ნათლად ჩანს ის მავნებლობები, რასაც ეწევიან ჩვენი მედიები და ლიბერალური ჯგუფები პოლიტიკოსებთან ერთად მაშინ, როცა ისინი გვამუნათებენ, რომ არ უნდა ვილაპარაკოთ რუსეთთან და ა. შ.

შევახსენებ ყველას — პიროვნულ ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან დარტყმები, შეიძლება, თავიდან ვერ აიცილო რუსეთიდან, მაგრამ შესაძლებელია მათი შერბილება.

შეცდომების ისეთი კასკადი დავდგით დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, რომ გვსრესს უკვე ეს შეცდომები, ამიტომ ნებისმიერი ტიპის ურთიერთობა, რუსეთის საზოგადოებრივი აზრი იქნება, თურქეთის, ირანის თუ ნებისმიერი სხვის, რომელიც გააჩენს ჩვენს მიმართ კეთილგანწყობას და გაზრდის ჩვენი გადარჩენის ალბათობას, მისაღებია.

ჩემს ბავშვობაში ზოოპარკში ვყავდი ერთხელ დედაჩემს. უსურიული ვეფხვის გალიასთან მივედით. იქვე ერთი ქალი იდგა. უცებ ეს ქალი ამბობს: ნეტა, რას იზამს ეს ვეფხვი, ბავშვი რომ შეუგდოო.

ეს ამბავი მახსენდება, ჩვენს მედიას და პოლიტიკოსებს რომ ვუყურებ — ნეტა, რას გვიზამენ დიდი იმპერიები, გალიაში რომ შევუხტეთო? წარმოდგენაც კი არ აქვთ, საერთოდ, რას აკეთებენ.

**— მაგალითად, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტმა ირაკლი იმნაიშვილმა გადაცემაში ლევან ვასაძეს დაჟინებით ჰკითხა რამდენიმეჯერ, ალექსანდრ დუგინთან შეხვედრებისას რაზე ლაპარაკობდითო, ანუ რაზე უნდა ველაპარაკოთ, თქვენი აზრით, რუსეთს?**

— საქმე ის არის, რომ ასეთი კითხვების დამსმელებს, ფაქტობრივად, დაკარგული აქვთ კრეტინიზმის საზღვარი, მეტიც, ეს არის, სამწუხაროდ, უმძიმესი პროვინციული კრეტინიზმი.

ასეთი ინდივიდების აზრით, ქართველი ადამიანი თუ შეხვდება ვინმეს, ეროვნებით რუსს, შეიძლება, იმ რუსმა უკბინოს მას, რითაც ის მომენტალურად ხდება რუსი.

სარკაზმს რომ თავი დავანებოთ, გავიხსენოთ, მაგალითად, გიორგი ბრწყინვალე, ის ჩობან ნოინს რომ ელაპარაკებოდა, მოღალატე ყოფილა, დავით ნარინი და დავით ულუ ყარაყორუმში რომ წავიდნენ, ისინიც მოღალატეები გამოდიან, ამ ლოგიკით, მოღალატე გამოდის თეიმურაზ მეფე და ერეკლე მეორეც. არა, კაცო, რა უნდოდა მეფე ერეკლეს ნადირ შაჰთან?!

სანამ რაკეტა ან ციკლონი არ მოხვდება ამ ე.წ. მედიების წარმომადგენლებს გამოტვინებულ გოგრებში, მანამდე აზრზე ვერ მოვლენ.

სამწუხაროდ, ესენი არიან ბოროტი ბრიყვები.

რაც შეეხებათ ქართველ ლიბერალებს. ტყუილია, რომ ისინი რაღაც შეთქმულების მონაწილეები არიან, ან იციან რამე და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ. არ არის ასე.

ხანგრძლივი ზომბირების შედეგად, ეს ადამიანები გადაქცეული არიან ზომბებად, გამოფიტული აქვთ აზროვნება, ამიტომ ასეთი მათ ლაყბობას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ.

რაც უფრო მალე მიხვდება ამას ქართველი ხალხი, მით უკეთესი.

ამიტომაც ლევან ვასაძის ირონია ამ შეკითხვისადმი ჩვეულებრივი რეაქცია იყო. სწორედ ირონიით უნდა მიუდგე ასეთ შეკითხვებს და ასეთ ადამიანებს.

**— მე გეთანხმებით. რუსეთს უნდა ველაპარაკოთ პირისპირ, მაგრამ, რას ფიქრობთ, რა არის ის უპირველესი, რითაც დიალოგი უნდა დაიწყოს?**

— რუსეთს თავად აქვს არაერთი პრობლემა, რითაც სარგებლობენ გლობალისტური ძალები და მან შედეგად მიიღო ის, რომ მუდმივი კონფლიქტები აქვს საქართველოსთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ბულგარეთთან და სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებთანაც კი. ეს საკითხი რუსეთისთვის ძალიან მტკივნეულია.

ეს არის არა მხოლოდ მათი ბოლო დროს შელახული ღირსების, არამედ იმპერიული საკითხი — გეოპოლიტიკური დაპირისპირებების ნიშნით.

ვფიქრობ, რომ რუსებს სურთ, გამოასწორონ ეს საკითხი, რაც ჩვენთვის ძალიან კარგია, ჩვენი ბოროტი ბრიყვებისთვის კი ცუდი, რადგან მათი ოცნებაა, რუსეთი განადგურდეს და საქართველოც მიჰყვეს, მაგრამ ეს ერთი საკითხია. მეორე არის ეკონომიკური საკითხი — რუსეთი უზარმაზარ თანხებს ხარჯავს ჩრდილო კავკასიისთვის. ჩეჩნეთი დღეს გადაქცეულია ერთგვარ ოფშორად, სადაც დიდძალი თანხები ჩაედინება რუსეთის ბიუჯეტიდან.

ამ ვითარებაში საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობის პრობლემა დიდ მნიშვნელობას იძენს. ამავე დროს, ჩვენ უნდა ვითვალისწინებდეთ იმასაც, რომ ჩვენი ინტერესების დაცვა ამ პროცესში ძალიან რთული იქნება. დიდი ზეწოლებიც არის მოსალოდნელი. ეს არ მოეწონება მესამე ძალასაც, თუმცა სხვა გზა არ გვაქვს. ბოლოს და ბოლოს, რაღაც ფორმით უნდა დაიწყოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რეინტეგრაცია.

საზოგადოდ, ეს საკითხები არის ძალიან ფაქიზი და რთული, მაგრამ აუცილებლად არის განსახორციელებელი.



ამას ცდილობს ლევან ვასაძე.

ყველა, ვინც წაიკითხავს ამ ინტერვიუს, უნდა მიხვდეს, საერთო ჯამში, რასთან გვაქვს საქმე და რა არის ალტერნატივა.

**— რა არის ალტერნატივა?**

— იდეალური ვარიანტია ჩვენთვის — დაველაპარაკოთ რუსეთს. საქართველოში დაბალანსდეს რუსული, თურქული, დასავლური ინტერესები, რადგან არც ერთი ჩამოთვლილი ძალა არ გაჩერდება, თუ არ დაუპირისპირდა მათ დაბალანსებული პოლიტიკა.

**დამანგრეველი და გამანადგურებელია ჩვენთვის კლიშე — არ ელაპარაკო რუსეთს.**

**რომ არ „ველაპარაკოთ“, ამით დაინტერესებულია თურქეთი, დასავლეთი, ასევე ჩვენი მეზობელი სომხეთი, რომელსაც არ აწყობს საქართველოს საკითხის მოგვარება და ნუ გვიკვირს ეს. სომხები რადიკალურად მოქმედებენ, რადგან ძალიან მძიმე გეოპოლიტიკურ ჩიხში იმყოფებიან...** მაგალითად, მათ არ აწყობთ აფხაზეთში ქართველი დევნილების დაბრუნება და სურთ, დარჩეს პოლიტიკური სტატუსქვო, მაგრამ გაიხსნას სავაჭრო გზები, ანუ ჩვენ უნდა დავთმოთ რკინიგზა. მოკლედ, ჩვენ რომ საბოლოოდ დავთმოთ აფხაზეთი, ეს უნდა სომხებს.

ამიტომაც, როგორც შეუძლიათ, ისე ბლოკავენ ჩვენი ტერიტორიული პრობლემების მოგვარების შანსებს გაეროში და ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ.

საქართველოში ვინც რუსეთ-საქართველოს დიალოგის წინააღმდეგია, არის პირდაპირი აგენტურა და ამ აგენტურულ ქმედებებში იღებენ ფულს. აი, ეს არის სიმართლე და სიმართლეს ყოველთვის თვალი უნდა გავუსწოროთ.

**— ბატონო სოსო, აპირებთ თუ არა, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთობა, რაობა, იმედი“ პოლიტიკურ პარტიად დაარეგისტრიროთ უახლოეს ხანებში და თუ გეგმავთ შემოდგომაზე არჩევნებში მონაწილეობის მიღებას?**

— პარტია აუცილებლად დარეგისტრირდება, თუმცა დრო ცოტაა და არ ვიცით, როგორ მოხერხდება ეს.

პირადად მე, ვთვლი, რომ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მივიღოთ, თუმცა მარტო მე არ ვარ ამ საკითხის გადამწყვეტი. არის ჯგუფი, გუნდი, რომელთან ერთადაც უნდა გადაწყდეს ეს საკითხი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაც და კონსტიტუციაც უნდა შეიცვალოს!

## დევნილი მთავრობის ხელმძღვანელები არიან თუ ქუვეითის შეიხები?

ქვეყნის რეალობაში, თითქმის 30 წელია, აფხაზეთიდან დევნილები ვითმენთ აფხაზეთის ე.წ. მთავრობას და უმაღლეს საბჭოს. როდესაც აფხაზეთში იგრძნობოდა ომის საშიშროება და ირგვლივ დაძაბულობა სუფევდა, 1991 წლის 29 სექტემბერს, ჩქარი ტემპით ჩაატარეს არჩევნები (გრძნობდნენ და იცოდნენ, რომ მაშინდელ ხელისუფლებას აფხაზეთი გაყიდული ჰქონდა). აფხაზეთის მაცხოვრებლებმა კარგად ვიცით, თუ როგორ დაძრწოდნენ (ზოგიერთი ე.წ. დეპუტატი), რათა მიეღოთ დეპუტატის მანდატი. მიზნის მისაღწევად ყველა ბინძურ ხერხს მიმართავდნენ (ერთმანეთის გინება, ლანძღვა, მოქრთამვა, მოსყიდვა და ა.შ.). დევნილთა უმრავლესობა საერთოდ არ იცნობს ვითომდა მათ მიერ არჩეულ დეპუტატს. თავად ე.წ. დეპუტატებს თუ ახსოვთ რომელ რეგიონში აირჩიეს?!. 30 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც თუ შეხვდნენ თავიანთ ამომრჩევლებს გარდა ქორწინებისა და ქელეხებისა... აი, ასეთი დეპუტატებისგან შექმნა მაშინდელმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ ე.წ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. სწორედ ამ უმაღლესი საბჭოს ქმედებების შედეგია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დღევანდელი, ყოვლად მიუღებელი, სამარცხვინო მთავრობა, ვინმე რუსლან აბაშიძის მეთაურობით... მთავრობა, რომელიც ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გააგრძელებს „გულაობას“, ყაჩაღობას თავიანთ შვილებთან, ოჯახებთან, ნათესავებთან (ცოლის დაქალებთან და ა.შ.) ერთად.

ნათქვამია, „ღორი ზედმეტი ქონის გამო გიჟდებაო“. ისე გაქონიანდნენ, რომ ერთმანეთში აერიათ, დევნილი მთავრობის ხელმძღვანელები არიან თუ ქუვეითის შეიხები... 2021 წლის 23 აპრილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი, სადაც მოვუწოდებ, დროზე გადაბარგდნენ ზუგდიდის რაიონში, სოფელ რუხში, სადაც უფრო მეტ სარგებელს მოუტანენ ქვეყანას და მით უმეტეს, დევნილებს. იმ ისტორიულ ადგილას, სადაც მშვიდობიან დროს იმართებოდა ქართველებისა და აფხაზების ძმური შეხვედრები. რუხში, რომ ყურადღება მიექცეს ინფრასტრუქტურის განვითარებას, სიამოვნებით გადმოვლენ აფხაზები მოსალაპარაკებლად, საერთო პრობლემების მოგვარების თაობაზე თუმცა არა დღევანდელ აფხაზეთის მთავრობასთან, რომელთა მიმართ სრული უნდობლობაა, როგორც აფხაზების, ასევე ქართველი დევნილების მხრიდან. ისინი მოსალაპარაკებელ მაგიდასთან დასხდებიან იმ პიროვნებებთან ერთად, რომლებსაც ავტორიტეტი და ნდობა აქვთ, როგორც ენგურს გაღმა, ასევე ენგურს გამოღმა საქართველოში...

ღმერთმა ქნას, რომ აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების სამართლიანი თხოვნა და მოთხოვნა გაიგოს და შეისმინოს საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ და ეს სამარცხვინო, ვინმე რუსლან აბაშიძის მთავრობისა და მასზე მორგებული უმაღლესი საბჭოსგან გაათავისუფლოს პოლიტიკური ასპარეზი. ღრმად ვარ დარწმუნებული, აფხაზეთის დღევანდელი, სამარცხვინო ხელისუფლება, რუხში წამსვლელები არ არიან. რადგანაც აქ, თბილისში, ძალიან კარგად ცხოვრობენ და გრიალებენ, მოკლედ რომ ვთქვათ, „ქერის ორმოში ზიან“... ამ ბოლო პერიოდში ძალიან ვართ „განებივრებული“ ახლანდელი რუსლანისეული მთავრობის იაფფასიანი პროექტებით, რომლითაც გაჭედილია სატელევიზიო სივრცე, სოციალური ქსელი და ა.შ.

მეტი რა გვინდა დევნილებს, მთავარია, მათი ოჯახის წევრებმა, ცოლის მეგობრებმა, ახლობლებმა, დაქალ-ძმაკაცებმა იმსახურონ, დასაქმდნენ, კარგად იცხოვრონ, აგარაკები იშენონ (ქალაქგარეთ, პრესტიჟულ ადგილებში), მანქანები ხელთათმანებივით იცვალონ და ა.შ... მთავარია, არ მოაკლდეთ კეთილდღეობა (ამ გაგანია პანდემიის დროს) და ჩვენ, დევნილები, მათი გადასახედიდან ათასში ერთხელ (სოციალურ პაკეტს რომ არქმევენ), 1 კგ. ბრინჯით და მაკარონით უნდა დავკმაყოფილდეთ... და ეს „სოციალური პაკეტი“ მხოლოდ და მხოლოდ საბაბია მათი იაფფასიანი პიარისთვის, სხვადასხვა სატელევიზიო სივრცესა და სოც. ქსელებში.

აუცილებელია, აფხაზეთის მთავრობის დაუყოვნებლივ შეცვლა და უმაღლესი საბჭოს ხელახალი არჩევნები (თუნდაც მეორე პალატის შექმნა), რომელთა ადმინისტრაციული ცენტრი იქნება საოკუპაციო ხაზთან, სოფელ რუხში. მიიღეთ ეს თხოვნად, მოთხოვნად და, ამავე დროს, დევნილების მიმართვად მთავრობისადმი.

დღევანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები არიან დევნილების პოტენციური მტრები. სად და როგორ უნდა ვეძებოთ გამოსავალი. აუცილებელი და გარდაუვალია:



1. საქართველოს მთავრობამ გამოიჩინოს პოლიტიკური ნება, რათა ჩატარდეს აფხაზეთის ა/რ საკანონმდებლო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს, როგორც ენგურს გაღმა, ასევე ენგურს გამოღმა აფხაზეთის მოსახლეობა (თუნდაც დისტანციური რეჟიმით).
2. შეიქმნას დევნილთა პარტია.
3. ჩატარდეს დევნილთა ყრილობა.
4. სახალხო დიპლომატიის გზით აფხაზ მოსახლეობასთან ურთიერთობის აღდგენა.

ვინც ამ მოწოდებას, მოსაზრებას, არ ეთანხმებით, დამისახელეთ დღევანდელი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ მიღებული ერთი კანონი, რომელიც აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის კეთილდღეობაზე არის მორგებული... გაოცებას იწვევს დღვანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც, შეიძლება ითქვას, კონსტიტუციის „პროვოკაციაა“, რომელიც ვინმე რუსლან აბაშიძემ პიჯაკივით მოირგო ტანზე... რას ფიქრობდა ამ კონსტიტუციის დამტკიცების დროს აფხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო (აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო), რატომ აიყარეს ყველა უფლება, რითაც სრული „გრიალის პოლიტიკა“ შეუქმნეს ვინმე რუსლან აბაშიძეს?!.

დამერწმუნეთ, ვინც ამ კონსტიტუციას გაეცნობით, აუცილებლად დაგებადებათ კითხვა — რა აზრი აქვს ასეთი საკანონმდებლო ორგანოს არსებობას?! რამ ან ვინ (ვისმა უჩინარმა ხელმა) აიძულა აფხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ამგვარ უზნეობაზე ხელი მოეწერა და რეალურად ანტიკონსტიტუციური კონსტიტუცია მიეღო?!.

აფხაზეთიდან დევნილთა უმრავლესობის სახელით, სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ტუ-134 ხომალდის მეთაური

**ორესტ (ზაურ) ბედია**
574 00 06 01



# ნაფტალი არონოვიჩი – გულაგების მეფე

ცოტამ თუ იცის, რომ საბჭოთა გენერალ-ლეიტენანტი, გულაგის ერთ-ერთი შემქმნელი და ხელმძღვანელი, სამგზის ლენინის ორდენის კავალერი ნაფტალი არონოვიჩ ფრენკელი კრიმინალური სამყაროდან მოვიდა.

1912-1918 წლებში ის მუშაობდა ნიკოლაევის მსხვილ მეწარმე მიწათმფლობელ იურიცინთან. 1918 წელს ის გადავიდა მშობლიურ ოდესაში, სადაც პატრონის დავალებებს ასრულებდა.

1917 წლის შემდეგ, ოდესაში კომერცია შეუძლებელი გახდა. ქალაქში მოკლე ხანში თხუთმეტჯერ შეიცვალა ხელისუფლება. ნაფტალი არონოვიჩმა თავისი კაპიტალის დიდი ნაწილი დაჰკარგა და ქურდული მოლდავანკას ინტერესებს მთლიანად დაემორჩილა.

1921 წელს, ფრენკელმა სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის საკმაოდ დიდი ავტორიტეტი შეიძინა. მას გაუჩნდა „თავისი ხალხი“, ბანდა. თაღლითობდნენ, ეწეოდნენ გამოძალვას, შანტაჟს, იტაცებდნენ. გაჩნდა დიდი ფული. საჭირო იყო მისი დაბანდება. ფრენკელს ისევ გაუმართლა, შემოიღეს ნეპი. ნაფტალი არონოვიჩმა სასწრაფოდ დააფასა „ეპოქის სული“, კერძო სავაჭრო ფირმის საფარველით მან ნამდვილად ამერიკული გაქანების კონტრაბანდის ტრესტი შექმნა. შავ ზღვაში, რუსეთის, რუმინეთის, თურქეთის პორტებს შორის დადიოდა რამოდენიმე გემი, მთელი ფლოტი. ყველანაირი საქონელი ქუდებიდან ქალის საცვლებამდე, ძვირფასი ქვებიდან მსოფლიოს ყველა ქვეყნის ვალუტამდე ფრენკელის სანდო პირების საწყობებში ან ჩემოდნებში ხვდებოდა.

ნაფტალი არონოვიჩი ქმნის თავის სახელმწიფოს სახელმწიფოში, თავისი კანონებით, თავისი ქვეშევრდომებით (ძირითადად სისხლის სამართლის დამნაშავეებიდან და კონტრაბანდისტებიდან), სხვადასხვა ქალაქებში და ქვეყნებში გაფანტული თავისი საკუთრებით და თავისი ჯალათებით. კონტრაბანდულ საქონელს ასაღებდნენ „მისი კომერსანტები“ მთელ რუსეთში გაშლილ დუქნებში, რესტორნებში და სასტუმროებში. ფული შედიოდა ფრენკელის „ბანკების“ ანგარიშზე. კონტრაბანდის დანიშნულების ადგილამდე მისვლას ხელს უწყობდნენ როსტოვის, ვორონეჟის, ასტრახანის, კიევის და სხვა დიდი ქალაქების კრიმინალები. ბევრი არტელი, ფრენკელის დაკვეთით ევროპაში ცნობილი მაღაზიების მარკების საქონელს ამზადებდა. ოსტაპ ბენდერის ცნობილი ფრაზა, რომ მთელი კონტრაბანდა ოდესაში, მალაია არნაუტსკაიაზე კეთდება, სიმართლე იყო. და ყველა არტელი ნაფტალი არონოვიჩ ფრენკელს ეკუთვნოდა. იმპერია ჰყავოდა და იფურჩქნებოდა. ფრენკელმა იყიდა მესაზღვრეები, სისხლის სამართლის სამძებრო, გპუც (ბოლშევიკების პოლიტიკური პოლიცია) კი. მოსკოვში დიდ ჩინოვნიკებს ყიდულობდნენ. ძერჟინსკის მოახსენეს, რომ ოდესაში იმდენადაა არეული ყველაფერი, რომ უბრალოდ შეუძლებელია ჩეკისტის გარჩევა ყაჩაღისაგან.

ოდესაში ოგპუს კოლეგიის წევრი დერიბასი გააგზავნეს. ოდესელები მეტისმეტად ხშირად ხუმრობდნენ ისტორიაზე, ახლა ისტორიამ იცინა ოდესელებზე. დერიბასი იყო ოდესაში ცნობილი გვარის შვილი. მივლინებული ჩეკისტის პაპის პაპა ოდესას აშენებდა. დერიბასის საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი კი, წრიპინა ხმის მქონე მახინჯი დიდყურა ჯუჯა იყო.

დერიბასი „თამაშობდა“ უწესო თამაშის წესებით. მან გაითამაშა, რომ იმხელა ფულის ჩაჯიბვა სურს, რომ ფრენკელი დაფიქრდა, ხომ არ შეიძლებოდა ფულით მისი თავიდან მოშორება. მან სანდო პირების მეშვეობით მოლაპარაკები დაიწყო. ვაჭრობისას, დერიბასი ჩუმად, ნკვდ-ს ოდესის განყოფილებისთვის გვერდის ავლით, ძერჟინსკის ოპერატიულ ინფორმაციას უგზავნიდა და იღებდა მითითებებს.

1924 წლის იანვრის ერთ ღამეს, ოდესაში მოსკოველი ჩეკისტების რაზმით დაშიფრული მატარებელი ჩავიდა. ოდესის ჩეკას და ტრესტის ხელმძღვანელები იმავე ღამეს დააპატიმრეს და რამოდენიმე დღის შემდეგ გაძლიერებული დაცვის თანხლებით გაისტუმრეს მოსკოვში.

კატორღელი: ოგპუ-ს კოლეგიამ ფრენკელი და მისი ამხანაგები სასწრაფოდ გაასამართლა და მათ სიკვდილი მიუსაჯა. მერე მოხდა სასწაული. ნაფტალი არონოვიჩი და მისი ბანდა სარდაფში დასახოცად ჩაიყვანეს და... ფრენკელს გამოუცხადეს, რომ სიკვდილით დასჯა მას ათი წლით სოლოვკებში კატორღით შეუცვალეს. სიცოცხლე მხოლოდ ფრენკელს აჩუქეს, მისი კრიმინალური იმპერია ისევ მოქმედებდა.

სოლოვკებზე მოხვედრისთანავე მან ვიღაცები მოისყიდა. ის მიხვდა, რომ 20 000 კატორღელის შრომა უაზროა და გრანდიოზული გეგმების დაწყობა დაიწყო. გემს სოლოვკებში ტიფის ტილი შეჰყვა, რომელმაც იქაურობა საშინელ დღეში ჩააგდო. ლაზარეთი ავადმყოფებს ვერ იტევდა. ყოველ დღე ათობით ადამიანი კვდებოდა. საჭირო გახდა გვამების ჩასაყრელი ორმოს გაფართოება. მაგრამ ამ ტილმა, ფრენკელის კარიერას ხელი შეუწყო. საჭირო გახდა ეპიდემიის წინააღმდეგ საჩქარო ზომების მიღება.

სანიტარულმა სამსახურმა ბანაკების სამმართველოს აბანოების საჩქაროდ აგება ურჩია. ინჟინრებმა მშენებლობისთვის საჭირო მინიმალური დრო ათიდან ოც დღემდე დაადგინეს. ფრენკელი მიხვდა რომ მისი დრო დადგა. თავისი ინიციატივით, ის ყველაზე დიდი აბანოს პროექტს აკეთებს და ამბობს, რომ მისი აშენება ოცდაოთხ საათში შეიძლება. ამისთვის კი მხოლოდ ასორმოცდაათი კაცი მოითხოვა და ორი პირობა დააყენა: პირველი ის იყო, რომ მშენებლობისთვის ხალხი თვითონ მას უნდა შეერჩია, მეორე კი ის იყო, რომ ცხელი საჭმელი და სპირტი მის მიერ დათქმული დროისთვის უნდა მიეწოდებინათ. ბანაკის უფროსობამ მოქმედება გადაწყვიტა. ფრენკელმა ბანაკები დაიარა და ოცდათვრამეტი ახალგაზრდა კრონშტადტის მეზღვაური შეარჩია. შეუმცდარად არჩევდა ყველაზე დაოსტატებულებს. დარჩენილი ოცი ინვალიდების ბარაკიდან მოითხოვა და შეარჩია ყველაზე ბეჩავი და უძლური მოხუცები. პირველი პირობა შესრულდა: ფრენკელმა ხალხი სამშენებლო მოედანზე გაიყვანა.

ქროდა ჩრდილოეთის ქარი. ყინვა ოცდახუთ გრადუსზე მეტი იყო. დაძონძილი ხალხი ცმუკავდა და იფუთებოდა. ფრენკელმა მეზღვაურები ერთ, ინვალიდები კი მეორე მხარეს დაამწკრივა და თქვა: „დაგვავალეს ოცდაოთხ საათში აბანოს აშენება. თუ ვერ მოვასწრებთ მეც, თქვენც და ინვალიდებსაც ერთ კედელთან დაგვხვრეტენ. ცხელ და ხორციან კერძს მოგვიტანენ აქ, გექნებათ თითო ჭიქა სპირტიც. აბა ეხლა საქმეს შევუდგეთ.“ – ეს როგორ, შვილიკოებო? – იკითხა ვიღაც მოხუცმა. ყველაფერი კარგად იქნება, უპასუხა ერთხმად რამოდენიმე ახალგაზრდამ.

ფრენკელის ეშმაკურმა ფსიქოლოგიურმა სვლამ გასჭრა. მეზღვაურებმა იცოდნენ, რომ მოხუცთა სიცოცხლე მათზე იყო დამოკიდებული



და ისინი მუშაობას სიმღერ-სიმღერით შეუდგნენ. ფრენკელი პროფესიულად ხელმძღვანელობდა, მუშაობდნენ გულმოდგინედ. ფრენკელის მეორე პირობაც შესრულდა. მოიტანეს კარგი წვნიანი, უზომოდ ბევრი პური და სპირტი. სადილობდნენ ორ წყებად.აბანო დათქმულ დროზე სამი საათით ადრე ააშენეს. ლაზარეთში მხოლოდ ღამით გაყინული რამოდენიმე მოხუცი წაიყვანეს. უფროსობამ ყველას კიდევ თითო ჭიქა სპირტი ჩამოურიგა. ეს დღე ფრენკელის თავბრუდამხვევი კარიერის და სოლოვკების კატორღისთვის ახალი ხანის დასაწყისად იქცა. ფრენკელის გარეთ მყოფმა თანამზრახველებმა იცოდნენ, რომ მათი იმპერატორი აუცილებლად ამოტივტივდებოდა. მაგრამ ასე მალე და ასე?

1926 წლის მაისში, სოლოვკების ბანაკების სამმართველოს უფროსი ფ.ი. ეიხმანსის შუამდგომლობით, ნაფტალი არონოვიჩს პატიმრობის ვადა ორჯერ შეუმცირეს. ერთი წლის შემდეგ ის ვადამდე ადრე გაანთავისუფლეს და სოლოვკების ბანაკების სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროსად დანიშნეს. ახალი პერსპექტივებით აღფრთოვანებულმა ფრენკელმა ახალი ტიპის ბანაკების შექმნის წინადადება წამოაყენა. მან თავის საკუთარ მაგალითზე იცოდა, რომ აღზრდით ადამიანის გადაკეთება არ შეიძლება და სოციალისტური მონათმფლობელობის შემოღება გადაწყვიტა. ფრენკელის წინადადება რა თქმა უნდა მოიწონეს. მან სამეურნეო ანგარიშად წოდებული ექსპერიმენტის გატარება დაიწყო. პატიმრებმა კი ხის ჭრა, ქალაქების აგება, ლიანდაგების დაგება დაიწყეს. ფრენკელმა დაამტკიცა, რომ კატორღა შეიძლება დიდი შემოსავლის წყაროდ იქცეს.

ადრე არ იცოდნენ თუ რა უნდა ექნათ კატორღელებისთვის, ახლა კი აღმოჩნდა, რომ მათი რაოდენობა საკმარისი არ იყო და ლუბიანკისგან პატიმრების ახალი პარტიების გაგზავნას ითხოვდნენ.ფრენკელი თავის მტრებს დაერია: პირველი გაქრა მაღალი მოსკოველი ჩინოვნიკი კოგანი, რომელმაც შრომა-გამასწორებელი ბანაკების თაობაზე ფრენკელთან შეკამათება გაბედა. მერე გაქრა ფრენკელის ძველი ნაცნობი ჯუჯა დერიბასი, დანარჩენებს „იმპერატორის ყმებმა“ მოუარეს. 1930 წელს, ფრენკელი კომის რესპუბლიკაში შრომა-გამასწორებითი ბანაკის მშენებლობის ხელმძღვანელი ოყო. 1931 წელს კი ბელომორსტროის მთავარი საქმეთა მწარმოებელი. ცოტა მოგვიანებით ბელბალტლაგის უფროსის მოადგილე. მას სოციალისტური მშენებლობის ყველაზე რთულ უბნებზე აგზავნიდნენ და მას არასოდეს უღალატია.

საბჭოთა სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის 1932 წლის ნოემბერში ნაფტალი არონოვიჩ ფრენკელი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. თავბრუდამხვევი კარიერის დროს, საბჭოთა მთავრობისგან ის იმ დროისთვის უზარმაზარ თანხებს იღებს, რომელთა ნაწილსაც იჯიბავს. ჩაჯიბული ფულით კი ის მისთვის საჭირო ხალხს ქრთამავს და ყიდულობს. ის იმდენად გათავხედდა, რომ დაუფარავად მოქმედებს.1937 წელს მას დაუკაკუნეს და ისეთი ბრალდებები წაუყენეს, რომ განაჩენი მხოლოდ დახვრეტა შეიძლებოდა ყოფილიყო და ფრენკელის მტრებმაც ამოსუნთქეს. მაგრამ 1940 წელს, ამხანაგი ბერიას პირადი განკარგულებით ის გაანთავისუფლეს და, ჰოი სასწაულო, მორიგი მაღალი თანამდებობით და მორიგი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. 1943 წლის 29 ოქტომბერს კი, მას საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის წოდება და... მესამე ლენინის ორდენი მიანიჭეს.

სტალინმა ფრენკელის უნიკალური ნიჭის შესახებ იცოდა და მას გულაგის საკონცენტრაციო ბანაკების სისტემის იდეოლოგად და მთავარ კონსტრუქტორად გახდომა შესთავაზა. ალექსანდრ სოლჟენიცინი თავის „არქიპელაგ გულაგში“ მასზე წერდა.“პატიმრისგან (შრომით-გამასწორებელ ბანაკებში) ყველაფერი პირველ სამ თვეში უნდა ავიღოთ, მერე ის არ გვჭირდება!“ ამბობდა საბჭოთა ბანაკების გიგანტური სისტემის სათავეში მყოფი ნაფტალი არონოვიჩ ფრენკელი. ის მალე გახდა სახელმწიფო უშიშროების გენერალი, სოციალისტური შრომის გმირი, ორდენების მზიდი. მრავალი მილიონი ადამიანის ამ მკვლელს, საბჭოთა სისტემა სტალინის სიკვდილის შემდეგაც ეფერებოდა. მან გენერლის პენსიამდე მიაღწია და თავისი უზარმაზარი გამოცდილება გადასცა ჩეკისტების ახალ თაობას.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72



# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



**— სისხლის სამართალში კანონებს რომ აქვთ უკუძალა, ეს ვიცი. მაინტერესებს, სამოქალაქო სამართალში თუ აქვს ახალ კანონს უკუძალა?**

— დიახ, სისხლის სამართალში ახლად მიღებულ კანონს აქვს უკუძალა. კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

დამატებით განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

განსხვავებით სისხლის სამართლისგან, სამოქალაქო კანონმდებლობაში ახლად მიღებულ კანონს ან ნორმატიულ აქტს არ გააჩნია უკუძალა, თუმცა, აქაც არსებობს გარკვეული დათქმა, რომელიც ჩადებულია შესაბამისი ნორმის შინაარსში. კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის /სამოქალაქო კანონთა უკუძალა/, მიხედვით, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.



* * *

**— ითვლება თუ არა დაუბადებელი ბავშვი მემკვიდრედ?**

— დიახ, ითვლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

* * *

**— რას ნიშნავს არასრულწლოვნის ემანსიპაცია?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს სრულად პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ემუხლი, რომელის შინაარსსაც სრულად წარმოგიდგენთ:

1. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან – ამ წარმომადგენლების თანხმობით – მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.

2. თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

3. საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

* * *

**— მეზობელს სურს, ისარგებლოს ჩემი ნაკვეთით, რომელზეც გაატარებს შესაბამის ტრანსპორტს თავის ნაკვეთთან მიღწევამდე სხვა გზით მის ნაკვეთზე ტრანსპორტი ვერ მივა. მე არ მსურს, ჩემს მიწაზე გაიაროს მისმა გზამ. გვაქვს პრობლემები ერთმანეთთან. მეუბნება, რომ სასამართლოს მიმართავს. მოსალოდნელი შედეგები მაინტერესებს.**

— თქვენი მეზობელი დიდი ალბათობით სასამართლო დავას მოიგებს. ამიტომ გირჩევთ, მორიგდეთ. ამასთან, თქვენ კანონმდებლობა განიჭებთ უფლებას, მოითხოვოთ შესაბამისი კომპენსაცია.

წარმოგიდგენთ შესაბამისი ნორმის შინაარსს და დასკვნებს თვითონაც გამოიტანთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი: აუცილებელი გზა

1. თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

2. აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მიწის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით.

* * *

**— ბუნებრივია, ვიცი, რომ მაქვს თანხის გასესხების უფლება. მე მაინტერესებს, თანხის გასესხებას პროცენტით თუ ითვალისწინებს სამოქალაქო კანონმდებლობა. ანუ, შემიძლია თუ არა, თანხა გავასესხო პროცენტით?**

— დიახ, შეგიძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625- მუხლი: პროცენტი სესხისათვის

სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი.

* * *

**— მაინტერესებს გამოსყიდვის თემა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.**

თქვენთვის საინტერესესო საკითხს პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 509–514-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენტ სრულად:

მუხლი 509. თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე.

მუხლი 510. გამოსყიდვა ხდება თავდაპირველი ფასით. ამასთან, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ის თანხაც, რომლითაც გაიზარდა საქონლის ღირებულება გამოსყიდვის მომენტამდე სასარგებლო დანახარჯების შედეგად, ხოლო გამომსყიდველს შეუძლია მოითხოვოს იმ თანხის გამოკლება, რომლითაც შემცირდა საქონლის ღირებულება მის გამოსყიდვამდე.

მუხლი 511. მყიდველი ვალდებულია ნაყიდი ნივთი დააუბრუნოს საკუთვნებელთან ერთად.

მუხლი 512. თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე ნაყიდი ნივთი გააფუჭა (დააზიანა) ან შეცვალა, მან უნდა აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი.

მუხლი 513. თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაასხვისა ნაყიდი ნივთი, ასეთი გასხვისება ბათილია.

მუხლი 514. გამოსყიდვის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ათ წელს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

* * *

**— როდიდან გაქარწყლდება არასრულწლოვნის ნასამართლობა?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 12. არასრულწლოვნის ნასამართლობა

1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

* * *

**— შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების დადება სანოტარო დადასტურების გარეშე?**

— არა, არ შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1174 -ე მუხლსი მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

* * *

**— თუ შეიძლება, ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოგვაწოდეთ ინფორმაცია.**

— ამ საკითხის გაცნობის სურვილი ხშირად ფიქსირდება ჩვენი გაზეთის მკითხველებისაგან. თქვენთვის საინტერესო საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავით, რომლის შინაარსსაც სრულად წარმოგიდგენთ.

მუხლი 524. ცნება

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობი თ.

მუხლი 525. ჩუქების ხელშეკრულების დადება. საჩუქრის დაპირება

1. მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან.

2. უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული

საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული.

მუხლი 526. ჩუქების დაუშვებლობა

პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

მუხლი 527. გაჩუქებული ქონების ნაკლი

თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

მუხლი 528. შეწირულობა

1. მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. ეს მიზანი შეიძლება იყოს საერთოსასარგებლოც (შეწირულობა).

2. პირობის შესრულება, გარდა მჩუქებლისა, შეუძლია მოითხოვოს იმ პირმაც, ვის ინტერესებშიც იგი იქნა დათქმული.

3. თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, მაშინ მჩუქებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

მუხლი 529. ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო

1. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

2. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ.

3. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

მუხლი 530. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა

თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.

2. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში

გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

# ფინური სასკოლო განათლების შვიდი პრინციპი

## „ბავშვები ან ცხოვრებისთვის უნდა მოვამზადოთ, ან გამოცდებისთვის. ჩვენ პირველს ვირჩევთ“



საერთაშორისო კვლევების თანახმად, რომელსაც სამ წელიწადში ერთხელ ატარებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ფინელმა მოსწავლეებმა მსოფლიოში ცოდნის უმაღლესი მაჩვენებელი უჩვენეს. მათ მეორე ადგილი დაიკავეს საბუნებისმეტყველო საგნებში, ხოლო მათემატიკაში — მეხუთე. პედაგოგიურ თანამეგობრობას აოცებს, როგორ აღწევენ ფინელი ბავშვები ასეთ შედეგებს, როცა სწავლას ძალიან ცოტა დროს უთმობენ.

ფინეთში სავალდებულო სასკოლო განათლება ორსაფეხურიანია: ქვედა (1–6 კლასები) და ზედა (7–9 კლასები). დამატებით მე-10 კლასში მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ნიშნების გამოსწორება. შემდეგ ბავშვები ან პროფესიულ კოლეჯს ირჩევენ ან ლიცეუმში სწავლას განაგრძობენ (ჩვენი გაგებით მე-11-მე-12 კლასები).

### სკოლების თანასწორობა

არ არსებობს ელიტური და „სუსტი“ სკოლები. ყველაზე დიდ



სკოლაში 960 მოსწავლე სწავლობს, ყველაზე პატარაში — 11. ყველას ერთნაირი აღჭურვილობა, შესაძლებლობები და პროპორციული დაფინანსება აქვს. თითქმის ყველა სკოლა სახელმწიფოა, მხოლოდ რამდენიმე მათგანია ნაწილობრივ სახელმწიფო.

თანასწორობის პრინციპის მიხედვით, ფინეთში არსებობს პარალელური განათლების სისტემა (საბავშვო ბაღიდან დაწყებული, უნივერსიტეტით დამთავრებული) შვედურ ენაზე. გათვალისწინებულია ასევე საამის ხალხის ინტერესები — ქვეყნის ჩრდილოეთში შეიძლება მშობლიურ ენაზე განათლების მიღება.

უკანასკნელ დრომდე ფინელებს ეკრძალებოდათ სკოლის შერჩევა — ბავშვი აუცილებლად უახლოეს სკოლაში უნდა შეეყვანა თ. აკრძალვა მოიხსნა, მაგრამ ფინელებს კვლავ უახლოეს სკოლაში მიჰყავთ თავიანთი პატარები, ყველა სკოლა ხომ ერთნაირად კარგია.

ფინეთში არავინ მიიჩნევს, რომ მათემატიკა ხელოვნებაზე მნიშვნელოვანია. პირიქით, ნიჭიერი ბავშვების კლასების შექმნის საფუძველი ხატვის, მუსიკისა და სპორტისკენ მათი მიდრეკილება შეიძლება გახდეს.

მშობლების პროფესიების შესახებ მასწავლებლები ყველაზე გვიან იგებენ საჭიროების შემთხვევაში. ფინელები არ ყოფენ ბავშვებს შესაძლებლობების ან კარიერული უპირატესობების მიხედვით.

არ არსებობენ ცუდი და კარგი მოსწავლეები. აკრძალულია ბავშვების შედარება ერთმანეთთან. ბავშვები, როგორც გენიალურები, ასევე გონებრივი შესაძლებლობების დეფიციტით, „განსაკუთრებულად“ მიიჩნევიან და ერთად სწავლობენ.

ყველა მასწავლებელი ერთნაირად უყვართ ბავშვებს და მასწავლებლებსაც ასეთი დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეების მიმართ. ნებისმიერი გადახრა ამ ჰარმონიიდან მასწავლებელთან კონტრაქტის გაწყვეტით სრულდება.

ფინეთში უფროსებსა (მასწავლებლები, მშობლები) და ბავშვებს თანაბარი უფლებები აქვთ. ფინელები ამ პრინციპს „მოსწავლის მიმართ პატივისცემის გამოხატულებას“ უწოდებენ. ბავშვებს პირველი კლასიდან უხსნიან მათ უფლებებს. ფინეთის შრომითი კანონმდებლობის მიხედვით მასწავლებლები ბავშვებს ვერ დაამცირებენ. შრომითი ხელშეკრულება მხოლოდ ერთი წლით იდება. მასწავლებლებს მაღალი ხელფასი აქვთ (დამხმარეს 2500 ევრო, საგნის მასწავლებელს — 5 000).

### უფასო სწავლება

სწავლის გარდა უფასოა: სადილები, ექსკურსიები მუზეუმებში და კლასგარეშე მოღვაწეობა; ტრანსპორტი, რომელსაც ბავშვი სკოლაში მიჰყავს და უკან მოჰყავს, თუ სკოლა 2 კმ-ზე შორ მანძილზეა; სახელმძღვანელოები, ყველა საკანცელარიო ნივთი, კალკულატორები და ნოითბუქ-პლანშეტები. თანხის შეგროვება ნებისმიერი მიზნით აკრძალულია.

### ინდივიდუალობა

ერთსა და იმავე კლასში ბავშვები სხვადასხვა სირთულის დავალებას ასრულებენ. შეფასებაც პერსონალური დონის მიხედვით ხდება. თუ იოლი დავალება კარგად შეასრულე, უმაღლეს შეფასებას მიიღებ. ხვალ უფრო რთული დავალება გექნება, თუ ვერ შეასრულებ, ისევ ადვილზე გადახვალ.

ფინურ სკოლებში არის კიდევ ორი უნიკალური საგანმანათლებლო პროცესი:

სუსტი მოსწავლეების მხარდამჭერი სწავლება. სკოლის მასწავლებლები ნებაყოფლობით ეხმარებიან ბავშვებს გაკვეთილების დასრულების შემდეგაც.

კორექციული სწავლება, რაც დაკავშირებულია მასალის ათვისების პრობლემებთან ან ზოგიერთი ბავშვის ასოციალურ ქცევასთან.

### პრაქტიკულობა

ფინელები ამბობენ: „ბავშვები ან ცხოვრებისთვის უნდა მოვამზადოთ, ან — გამოცდებისთვის. ჩვენ პირველს ვირჩევთ“. ამიტომ ფინურ სკოლებში გამოცდები არ არის. საკონტროლო და შუალედური ტესტები მასწავლებლის შეხედულებისამებრ ტარდება. არსებობს მხოლოდ ერთი სავალდებულო სტანდარტული ტესტი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასრულებისას. ამასთან, მასწავლებლები არ ღელავენ მისი შედეგების გამო, რადგან არავის წინაშე ვალდებულები არ არიან და არც ბავშვებს ამეცადინებენ სპეციალურად — რაც იქნება, იქნება.

სკოლაში მხოლოდ იმას ასწავლიან, რაც ცხოვრებაში გამოადგებათ. ასწავლიან, რა არის პორტფოლიო, კონტრაქტი, საბანკო ბარათი. მოსწავლეებს შეუძლიათ გამოითვალონ, რა თანხის გადახდა მოუწევთ მემკვიდრეობის მიღების შემდეგ, ან მომავალში მიღებული შემოსავლებიდან, შექმნან საიტ-სავიზიტო ბარათი ინტერნეტში და გამოითვალონ საქონლის ფასი რამდენიმე ფასდაკლების შემდეგ...

### ნდობა

სკოლის თანამშრომლებსა და მასწავლებლებს არავინ ამოწმებს. განათლების პროგრამა ქვეყანაში ერთიანია, მაგრამ არსებობს მხოლოდ საერთო რეკომენდაციები და ყოველი პედაგოგი სწავლების იმ მეთოდს იყენებს, რომელიც საჭიროდ მიაჩნია.

და მეორე, ნდობა ბავშვების მიმართ: გაკვეთილებზე ბავშვებს შეუძლიათ, ის აკეთონ, რაც უნდათ — თუ სასწავლო ფილმს უჩვენებენ და მოსწავლეს ეს არ აინტერესებს, მას შეუძლია წიგნი იკითხოს. ფინეთში მიაჩნიათ, რომ მოსწავლე თავად ირჩევს, რა არის მისთვის სასარგებლო.

### ნებაყოფლობა

სწავლობს ის, ვისაც სწავლა უნდა. საშუალო სკოლის ამოცანად მიიჩნევენ ფინელები იმასაც, აღმოაჩინოს, ღირს თუ არა, ახალგაზრდამ სწავლა განაგრძოს თუ პროფსასწავლებელში გადავიდეს. ქვეყანაში ორივე გზა ერთნაირად დაფასებულია.

სასკოლო რეჟიმის დაცვა აუცილებელია. ყველა გამოტოვებულ გაკვეთილს მოსწავლე „უნდა დაესწროს“.

კლასში მეორე წლით დარჩენა ფინეთში სირცხვილად არ ითვლება, განსაკუთრებით მე-9 კლასის შემდეგ, რადგან მომავალი ცხოვრებისთვის სერიოზულად უნდა მოემზადო, ამისთვის კი ფინურ სკოლებში არის დამატებითი (არასავალდებულო) მე-10 კლასი.

### დამოუკიდებლობა

ფინელები თვლიან, რომ სკოლამ ბავშვი უნდა მოამზადოს მომავალი დამოუკიდებელი წარმატებული ცხოვრებისთვის. ამიტომ სკოლებში ასწავლიან აზროვნებას და იმას, რომ თვითონ მიიღონ ცოდნა. იმას, რაც წიგნებშია, მასწავლებელი არ ასწავლის. მთავარი არა ფორმულების დაზეპირება, არამედ ცნობარების, ტექსტის, ინტერნეტის და კალკულატორის — საჭირო რესურსების მოძიება და გამოყენება მიმდინარე პრობლემების გადასაჭრელად.

### სასკოლო ცხოვრების წვრილმანები

სკოლის ტერიტორია შემოღობილი არ არის, არც დაცვა ჰყავს. სკოლის კარი ავტომატურად იკეტება.

აუცილებელი არ არის მერხებთან ჯდომა. ბავშვებს შეუძლიათ იატაკზე, ხალიჩებზე განთავსდნენ. ფორმა აუცილებელი არ არის. გამოსაცვლელი ფეხსაცმელი საჭიროა, მაგრამ ბავშვებს ფეხშიშველა სიარული ურჩევნიათ.

თბილ ამინდში გაკვეთილები ღია ცის ქვეშ ტარდება. დასვენების დროს უმცროსი კლასების მოსწავლეები აუცილებლად გაჰყავთ ჰაერზე.

დავალებებს იშვიათად აძლევენ, ბავშვებმა უნდა დაისვენონ. დაფასთან არავის იძახებენ. რვეულებში ნებადართულია ფანქრით წერა. მასწავლებლები დავალებებსაც ფანქრით ასწორებენ.

აი, ასე გამოიყურება ფინური განათლება.

ბავშვები სიამოვნებით დადიან სკოლაში. მშვიდები, აზრიანები და ბედნიერები, კითხულობენ წიგნებს, უყურებენ ფილმებს ფინურ ენაზე თარგმანის გარეშე, თამაშობენ, სეირნობენ ველოსიპედით და მოტოციკლეტით, წერენ მუსიკას, დგამენ სპექტაკლებს, მღერიან და სიცოცხლე უხარიათ. და, ამასთან, სწავლასაც ასწრებენ...

ფინური საერთაშორისო სკოლა თბილისშიც ფუნქციონირებს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99